7625

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა 28 სექტემბერი 1941 წ. № 230 (6235) ფასი 15 კაპ.

დიდი სამეურნეო მნიშვნელობის ინიციატივა

ამ დღეებში „პრავდაში“ დაიბეჭდა კორესპონდენცია „შორიდან ნუ ვეზიდებით იმას, რაც შეიძლება ადგილობრივ დამზადდეს“. ლაპარაკი იყო ახალ მოვლენაზე ჩვენი მრეწველობის კოოპერირებაში. ავტომობილისათვის საჭირო ბევრ დეტალებს, რომლებიც წინათ სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხანაში სხვა ქალაქებიდან იგზავნებოდა, ახლა უკვე თვით მოსკოვში ან მოსკოვის ახლოს ამზადებენ.

ავტომობილი, ისევე როგორც ბევრი სხვა თანამედროვე მანქანა, მრეწველობის ბევრი სხვადასხვა ისეთი დარგების კოოპერირების პროდუქტია, როგორიც არის: მეტალურგიული, ლითონდამმუშავებელი, ელექტროტექნიკური, რეზინის, ტყავის, საფეიქრო და ლაქსაღებავის დარგები. მოსკოვის ავტომობილის შექმნაში მონაწილეობას იღებს 210-ზე მეტი სხვადასხვაგვარი საწარმო. ბევრი მათგანი ავტოქარხნიდან ძალიან შორ მანძილზეა. ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს იდგა ამოცანა — უფრო სწორად მოგვეწყო კოოპერირება, ერთმანეთთან მიგვეახლოვებინა მომიჯნავე საწარმოები, რათა თავიდან ავეცილებინა შორი...

...ლონ უფრო მეტად ნედლეულის ადგილობრივ წყაროებზე.

ომი წარმოშობს დიდ სამეურნეო და ტექნიკურ ინიციატივას საბჭოთა ადამიანებში, რომლებიც ცდილობენ ყოველნაირად გააფართოონ წარმოება, რათა უზრუნველჰყონ წითელი არმია ყოველივე იმით, რაც საჭიროა მტერზე გამარჯვებისათვის. ბევრი საწარმონი, რომელნიც მშვიდობიან დროს უშვებდნენ მოსახლეობის გაზრდილ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ პროდუქციას, ახლა შეიძლება გარდაქმნილ იქნან და სწრაფად უნდა გარდაიქმნან კიდეც სამხედრო წარმოებისათვის, ვინაიდან ამჟამად არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი და უფრო საჭირო ამოცანა, ვიდრე ფრონტის მომარაგება. ამასთან ასეთმა საწარმოებმა მოკლე ვადაში უნდა შეუგუონ თავისი მოწყობილობა და გამონახონ ნედლეულის წყაროები, რომლებიც შეესაბამებოდეს ახალ დაკვეთებს—ფრონტის დაკვეთებს.

ომმა ვითარება შესცვალა, მან სამეურნეო მუშაობის ახალი პირობები შექმნა. არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ...

...ვოლოგდის ოლქიდან ნოვოსიბირსკის ოლქში შეჰქონდათ თხილამურები, ლენინგრადის ოლქიდან სვერდლოვსკის ოლქში — ცოცხები, ოდესიდან ტულაში — პრიმუსის ნემსები. ჩვენ ასეთ მოვლენებს მშვიდობიან დროსაც ვებრძოდით, მით უფრო შეუწყნარებელია ისინი ომის დღეებში.

შორიდან ნუ ვზიდავთ იმას, რაც შეიძლება ადგილობრივ დავამზადოთ! ყოველნაირად გამოვიყენოთ ნედლეულის ადგილობრივი წყაროები! — ასეთი ნიშნით უნდა სწარმოებდეს ახლა ჩვენი სამეურნეო მუშაობა. ჩვენს სამეურნეო ხელმძღვანელთა შორის არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვის ხარჯზე ყოფნის განწყობილებებს, იმაზე ანგარიშის დამყარებას, რომ სახელმწიფო ყველაფერს მზამზარეულს მოგართმევს. **მივცეთ სახელმწიფოს, ფრონტს, ქვეყანას უფრო და უფრო მეტი პროდუქცია ყველა არსებულ შესაძლებლობათა გამოყენების გზით!** — აი რაზე უნდა მუშაობდეს ყოველი სამეურნეო მუშაკი.

ომის პირობებში სამრეწველო საწარმოთა სწორ კოოპერირებაში, ადგილობრივი რესურსებისა და...

...დროს. მოსკოველი ავტომშენებელნი სავსებით სწორად იქცევიან, თავისთან რომ აწყობენ ისეთი დეტალების წარმოებას, რომლებიც წინათ შორიდან მოსდიოდათ.

ამ დღეებში პრესაში იუწყებოდნენ მეორე ფაქტზე, რომელიც არანაკლებ ინტერესს წარმოადგენს. დონეცის ქარხნის ერთერთი საამქრო ომამდე შორიდან მოტანილ და თან მეტად ძვირად ღირებულ ნედლეულზე მუშაობდა. ომმა გააძნელა ამ ნედლეულის მოზიდვა, და მეტად მნიშვნელოვანი პროდუქციის გამოშვება შემცირდა. მაშინ საამქროს უფროსმა ინჟინერთა ჯგუფთან ერთად შეიმუშავა ტექნოლოგია ამ პროდუქციის წარმოებისა მეზობელი საამქროს ნახევარნაწარმებიდან. წარმოების მეთაურებმა ნედლეულის ახალი წყარო გამონახეს. ამან მათ საშუალება მისცა არა თუ განეგრძოთ უაღრესად მნიშვნელოვანი პროდუქციის გამოშვება, არამედ ერთნახევარჯერაც გაედიდებინათ მისი წარმოება, თვითღირებულების მნიშვნელოვან შემცირებასთან ერთად.

მოსკოვის ავტოქარხნისა და დონეცის ქარხნის მუშაკთა ინიციატივას ომის პირობებში უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამ საწარმოთა მუშაკებმა საქმისადმი ნამდვილი ბოლშევიკური სახელმწიფოებრივი მიდგომა გამოიჩინეს, გამოიყენეს რა ადგილობრივი შესაძლებლობანი წარმოების გასაფართოებლად. ეს არის ამჟამად მთავარი, ომი მოითხოვს ყველა სამეურნეო ხელმძღვანელისაგან, რომ მათ აღმოფხვრან შეთხვევითობანი თავისი საწარმოების ნედლეულით, მასალებით, ინსტრუმენტით მომარაგებაში და გზა აი...

...ლეგაც შედგენილი იყო მშვიდობიანი დროს და ეყრდნობოდა მშვიდობიანი მშენებლობის პირობებს. ომი მოითხოვს შევასწოროთ ძველი გეგმები, იგი გვავალებს მაქსიმალურად განვავითაროთ კოოპერირება ეკონომიური რაიონების შიგნით.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი რაიონები დროებით დაკავებულია მტრის მიერ, ჩვენვალდებულნი ვართ უფრო მეტად, ვიდრე წინათ, გამოვიყენოთ თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების გიგანტური სანედლეულო რესურსები.

წინათ მაგნიტოგორსკის მეტალურგიული ქარხანა სამხრეთის მარგანეცით მარაგდებოდა; ურალის მარგანეცის საბადოებს მშვიდობიან დროს მეტად სუსტად იყენებდნენ. ახლა მაგნიტოგორსკელებმა თითქმის ერთიორად გაადიდეს ურალის მარგანეცის მადნის მოხმარება. ადგილობრივი სანედლეულო წყაროების გამოყენება ყველგან უნდა მოეწყოს. დაუშვებელია მრავალი ათეული კილომეტრის მანძილზე ვეზიდებოდეთ ქვანახშირს დონბასიდან, კუზბასიდან, ყარაგანდიდან იმ რაიონებში, სადაც არის საკუთარი ქვანახშირი, სადაც არის ტორფი, სადაც არის შეშა. მშვიდობიან დროს სამეურნეო მუშაკთა ნაწილი უაზროთ სჩადიოდა, აღწევდა რა მრავალი ასეული კილომეტრის მანძილზე ისეთი სამშენებლო მასალების გადაზიდვას, როგორიც არის ქვა, თიხა და უგულებელჰყოფდა ადგილობრივ სამშენებლო მასალებს. მშვიდობიან დროს ყველასათვის ცნობილი იყო ისეთი ფაქტები, რომ...

...გრაფიკის მიხედვით, და მათ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ მოეწესრიგებინათ კოოპერირება. კერძოდ, სახალხო კომისარიატებთან ერთად მათ მიაღწიეს ბევრი დაკვეთის ისე განაწილებას, რომ ეს ათავისუფლებდა საწარმოებს შორეული მიმოზიდვისაგან. პარტიის გორკის საოლქო კომიტეტმა თავის დროზე გამოააშკარავა ქალაქისა და ოლქის შიგნით საწარმოთა კოოპერირების დიდი შესაძლებლობანი. ახლა პარტიული ორგანიზაციები, ყოველდღიურად მუშაობენ რა მრეწველობის საკითხებზე, ღრმად სწვდებიან რა საწარმოთა საქმეებს, განსაკუთრებული ენერგიით უნდა ცდილობდნენ სწორი კოოპერირების მიღწევას. სამეურნეო კავშირი მრეწველობის ცალკეულ დარგებს შორის, მომიჯნავე საწარმოებს შორის არა თუ არ უნდა შესუსტდეს ომის დროს, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ უნდა მტკიცდებოდეს და უზრუნველჰყოფდეს სამრეწველო წარმოების განუხრელ ზრდას, პროდუქციის გამოშვების სისტემატურ გადიდებას.

მოსკოვის ავტოქარხნელთა და დონეცის ქარხნის მუშაკთა ძვირფასებელი ინიციატივა კოოპერირების მოწესრიგებისა და ნედლეულის ახალი წყაროების გამოყენების დარგში ყოველმხრივ მისაბაძია. გიგანტური რეზერვები, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირის მძლავრი ინდუსტრია და ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობა, მთლიანად დაქვემდებარებულ უნდა იქნას ფრონტის ინტერესებისადმი, მტერზე გამარჯვების საქმისადმი!

„პრავდის“ მოწინავე, 27/IX.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 სექტემბრის დილის ცნობა

26 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლას მტერთან მთელ ფრონტზე.

• • •

არასრული ცნობებით, ლენინგრადის მისადგომებზე რამდენიმე უკანასკნელი დღის განმავლობაში მოსპობილია 4 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მტრის 66 თვითმფრინავი, 34 ტანკი, 30-ზე მეტი ქვემეხი, 30 ტყვიამფრქვევი, 20 ნაღმსატყორცნი, 100-მდე ავტომანქანა, დიდძალი შაშხანა, ავტომატი და საომარი მასალა. ლენინგრადის ფრონტის ერთერთ უბანზე მტერი 25 სექტემბერს შეეცადა შეტევაზე გადმოსულიყო, მაგრამ უკუქცეულ იქნა, ამასთან დიდი ზარალი მოუვიდა. ბრძოლის ველზე 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი დარჩა.

• • •

სამი დღის მედგარ ბრძოლაში მეთაურ კრივენკოს ნაწილებმა, რომლებიც ფრონტის ჩრდილოეთ-დასავლეთი მიმართულებით მოქმედებენ, მოსპეს მტრის მე-6 ქვეითი პოლკის 1-ლი ბატალიონი, „სს“ დივიზიის მე-3 პოლკის მე-2 ბატალიონი, აგრეთვე მტრის ჯარის რამდენიმე ასეული. ბრძოლაში მოკლულია 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 4 ტანკი და რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. ქვედანაყოფის მებრძოლებმა მტერს წაართვეს 4 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი, 3 ავტომობილი და რადიოსადგური.

• • •

მაიორ შჩეგოლევატიხის ნაწილის ყუმბარმშენთა რგოლი წარმატებით დაესხა თავს მტრის აეროდრომს...

...თვითმფრინავი, დაბომბა 65 ტანკი, 220-ზე მეტი ავტომანქანა, საწვავის საწყობი, დაანგრია 3 ყაზარმა და 2 ანგარი, ჩააჩუმა 10 საზენიტო დანადგარი და ბატარია, დასწვა სარკინიგზო შემადგენლობა.

• • •

ფრონტის დასავლეთი მიმართულების ერთერთ უბანზე ჩვენმა ჯარის ნაწილებმა მოსპეს 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 17 ტანკი, 16 ავტომანქანა, 4 ნაღმსატყორცნი და 13 ტყვიამფრქვევი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა. ფრონტის დასავლეთი მიმართულების სხვა უბანზე შეუპოვარ ბრძოლაში მტერმა დაჰკარგა 3 ტანკი, 4 ტანკეტი, ერთი ჯავშნიანი მანქანა და რამდენიმე ქვემეხი.

• • •

ყოველდღე მოდის ცნობები საბჭოთა პარტიზანების უსაზღვრო სიმამაცის შესახებ, რომელნიც ულმობელად ურტყამენ ფაშისტ ოკუპანტებს. 20 სექტემბერს ამხ. ს-ს რაზმის პარტიზანების ჯგუფი თავს დაესხა დნეპროპეტროვსკის ოლქის რკინიგზის სადგურს, რომელიც ხელში აქვთ ჩაგდებული გერმანელებს. პარტიზანებმა ააფეთქეს ლიანდაგის ისრები და რკინიგზის ხიდი. მოკლულია რამდენიმე ათეული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

კარელ-ფინელთა რაზმის პარტიზანებმა ამხ. ნ-ის მეთაურობით ააფეთქეს მდინარის ხიდი და დაანგრიეს ჭაობიან ადგილას მიმავალი გზა. როცა აფეთქება გაისმა, თეთრფინელებმა არტილერია და ნაღმსატყორცნები დაუშინეს გზის დანგრეულ უბნისა და აფეთქებული ხიდის ზონაში არსებულ...

...ზანებმა მოსპეს თეთრფინელთა 4 ტრანსპორტი ჯარისკაცებით, იარაღითა და საომარი მასალითურთ. ამ დღეებში პარტიზანებმა მოსპეს მსუბუქი მანქანა სამი თეთრფინელი ოფიცრითურთ.

ცალცალკე მომქმედი უშიშარი საბჭოთა პატრიოტებიც საგრძნობ ზიანს აყენებენ გერმანელებს. ლენინგრადის ოლქის ერთერთ დროებით დაკავებულ სოფელში ფაშისტებმა დასწვეს ძველი კოლმეურნის ბ-ის სახლი, მოჰკლეს მისი ცოლი და ქალიშვილი — წითელარმიელის ცოლი. ამხ. ბ-მ იშოვა გერმანული ავტომატი, ხელყუმბარები და პარტიზანად გავიდა; იგი ტყეებსა და ჭაობებში იმალებოდა. 2 კვირის განმავლობაში ამხ. ბ-მ ხელყუმბარებითა და ავტომატით მოსპო 16 გერმანელი ჯარისკაცი, 2 მოტოციკლისტი, მზვერავი და ერთი ოფიცერი.

• • •

წითელი არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გადმოვიდა გერმანიის ჯარების მიერ დაკავებულ ქ. ჩერკასის მცხოვრებთა ჯგუფი.

საბჭოთა მოქალაქენი, რომლებმაც თავი დააღწიეს ფაშისტურ ჯოჯოხეთს, მოგვითხრობენ იმ წარმოუდგენელი სიმხეცის ამბავს, რასაც ფაშისტები სჩადიან ქალაქში და მის მიდამოებში. რაფინადის შაქრის ქარხნის ძველი მუშა ი. ი. გრინკო მოწამე იყო იმისა, თუ როგორ გაუსწორდნენ გერმანელები ფრუნზეს სახელობის ქარხნის ხუთ მუშას. გესტაპოს ოფიცერი დიდხანს აწამებდა მუშებს, რათა ეთქმევინებინა, თუ სად იყო დამალული ქარხნის მანქანები. „მე ვხედავდი, რომ იმ სახლის ეზოში, სადაც გესტაპოს აგენტებმა თავი...

...შპუნტოვი და ამ სანატორიუმის მედიცინის და ვ. ი. ლომანოვა მოგვითხრობენ იმ ველურ სცენებს, რომლებიც სანატორიუმში მოხდა. „გერმანელების მოსვლისას სანატორიუმში 8 მძიმე ავადმყოფი იყო დარჩენილი. სანატორიუმში მოსულმა გერმანელთა რაზმმა ისინი ყველანი ხიშტით განგმირა, ხოლო გვამები დნეპრში გადაჰყარა“.

• • •

მშრომელნი სათბობის, ლითონისა და ელექტროენერგიის სასტიკ მომჭირნეობას ეწევიან და ამნაირად უდიდეს დამატებითს მატერიალურ საშუალებებს აძლევენ წითელ არმიას მტრის გასანადგურებლად. რევდინსკის ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით სახელმწიფოს აგვისტოში მოუზოგა 331 ათასი მანეთი, ერთი თვის განმავლობაში გასწია 218 ათასზე მეტი კილოვატ-საათ ელექტროენერგიისა და 173 ტონა სათბობის ეკონომია. ნავთმზიდ „კოლექტივიზაციის“ ეკიპაჟმა ერთი თვის განმავლობაში 40 ტონა სათბობისა და 500 კილოგრამი საცხის ეკონომია გასწია. პენზის რკინიგზის ერთერთი დეპოს მემანქანე მეორთქლმავლეებმა—ამხ. კაშკინმა და ლარინმა აგვისტოში მოიზოგეს 11 ტონაზე მეტი სათბობი, ამხ. ლაუშკინმა და ვასილიევმა—30 ტონა, ამხ. რიაბოვმა და პლეგინმა—დაახლოებით 9 ტონა. ამ დეპოს მემანქანეებმა სულ მოიზოგეს 80 ტონაზე მეტი ქვანახშირი. შახტის არტემის სახელობის ელექტროსადგურმა გააუმჯობესა ქვაბების ხურების ზედაპირის გაწმენდა და ამ გზით მარტო ერთი თვის განმავლობაში 1.463 ტონა სათბობი მოიზოგა...

...დაახლოებით 200 ათასი მანეთი.

27 სექტემბრის საღამოს ცნობა

27 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლას მტერთან მთელ ფრონტზე.

25 სექტემბერს მოსპობილია გერმანიის 44 თვითმფრინავი. ჩვენ 19 თვითმფრინავი დავკარგეთ.

• • •

მეთაურ ქუკოვის რაზმმა ფრონტის ჩრდილო-დასავლეთი მიმართულების ერთერთ უბანზე განადგურა გერმანიის 392-ე პოლკის ბატალიონი. ბრძოლაში მოკლულ იქნა ასამდე და დაიჭრა 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ 850 ყუთი ნაღმები, 70.000 ვაზნა, 40 ყუთი ხელყუმბარები, 2 ტყვიამფრქვევი, 1 ნაღმსატყორცნი და გერმანიის 392-ე ქვეითი პოლკის საშტაბო დოკუმენტები. წამოღებულ დოკუმენტებს შორის არის ამ პოლკის მეორე ბატალიონის სამყოფირო ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 23 სექტემბერს ბატალიონმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაჰკარგა 13 ოფიცერი, 47 უნტერ-ოფიცერი და 350 ჯარისკაცი.

• • •

ერთმა ჩვენმა ავიანაწილმა, რომელიც ფრონტის სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით მოქმედებს, ორ დღეში მოსპო მტრის 46 ტანკი და 145-ზე მეტი ავტომანქანა.

• • •

ფრონტის ჩრდილო-დასავლეთი მიმართულების ერთერთ უბანზე ჩვენმა მფრინავებმა 24 სექტემბერს მოსპეს მტრის 5 ტანკი, 4 ბატარია, 5 საზენიტო დანადგარი, 6 ჯავშნიანი მანქანა და 155 ავტომანქანა, გაჰფანტეს ფაშისტური ქვეითი ჯარის 3 ბატალიონი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანიის 8 თვითმფრინავი.

• • •

...ბისა და ავტოკოლონების ყოველგვარ მოძრაობას. ამასწინათ პარტიზანული რაზმის მეთაურს ამხ. გ-ს გლეხებმა შეატყობინეს, რომ გერმანელებმა აღადგინეს ავტოსატრაქტორო სახელოსნო საბჭოთა მეურნეობაში და იქ რემონტისათვის თავს უყრიან დაზიანებულ ტანკებსა და ავტომანქანებს. ღამით პარტიზანები თავს დაესხნენ საბჭოთა მეურნეობას, დახოცეს 20-ზე მეტი ფაშისტი ჯარისკაცი და ტექნიკოსი, ააფეთქეს სახელოსნოს შენობა და დასწვეს 24 ავტომანქანა და 7 ტანკი.

მოხუცმა გლეხმა პ-მ პარტიზანული რაზმის მეთაურს აცნობა, რომ მათს სოფელში ფაშისტი მოიერიშენი მივიდნენ. სალამოს გერმანელებმა მოედანზე მირეკეს ყველა ქალები და გამოარჩიეს 20 ახალგაზრდა ქალიშვილი. ოფიცერმა განაცხადა, რომ ისინი გაგზავნილი იქნებიან ჯარისკაცებისათვის მოწყობილ საროსკიპოებში. დილით ფაშისტებმა ქალიშვილები სატვირთო მანქანებში ჩასხეს და სოფლიდან წაიყვანეს. სოფლიდან 10 კილომეტრის მანძილზე ავტომანქანა გაჩერდა, რადგან ტყეზე მიმავალი გზა ძლიერ ჩახერგილი იყო მორებითა და ქვებით. როდესაც გერმანელები გზის გაწმენდას შეუდგნენ, პარტიზანებმა საფრიდან გამოცვივდნენ და ოფიცრები და ჯარისკაცები ამოსწყვიტეს. ქალიშვილები ყველანი განთავისუფლებულ იქნენ.

პარტიზანული რაზმებისა და ჯგუფებისაგან მიღებული ცნობებით, ვიტებსკის ოლქის მხოლოდ ორ რაიონში სექტემბრის განმავლობაში პარტიზანებმა მოსპეს 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რამდენიმე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა და 40-ზე მეტი ავტომობილი, ხელთ იგდეს და ააფეთქეს საომარი მა...

...უნარს. მოგვყავს ზოგიერთი ამონაწერი დღიურიდან:

„27 თებერვალი. ჩამოვედი ნემურში. სალამოს საუბარი მქონდა ლეიტენანტ რაისთან ქადაგებათა გახანგრძლივების (აქცელერაციის) შესახებ.

28 თებერვალი. რა უსარგებლოდ მიდის დრო. ყოველი ნაბიჯით სიკვდილს უუახლოვდები. სადილი ისეთია, რომ თითქმის არ იჭმევა: ცერცვის წვენი—მაგარი ცერცვი და წყალი.

2 მარტი. ჩვენ ყველანი ვშიმშილობთ. შიმშილი რომ მოგვიჩვიონ, სადილად არაფერი არ მოგვცეს, ვახშამში კი მწყობრში გამოჭიმული დგომით შეგვიცვალეს.

7 აპრილი. სალაშქრო გუნდის გასვლა პოლიგონზე.

5 ივლისი. კვლავ ლაშქრობა მთელ ღამეს. განწყობილება, ისევე როგორც კვება, ძალიან ცუდია.

14 ივლისი. რუსებმა გაანადგურეს სრული ასეული—199 კაცი.

16 ივლისი. სადილი არ გვქონდა.

17 ივლისი. რუსებმა სწრაფი და ძლიერი იერიში მოიტანეს. ჩვენ დიდი ზარალი მოგვივიდა. რუსებს კარგი იარაღი აქვთ. ჩვენ ჰაერში უპირატესობა გვაკლია.

3 აგვისტო. ღამის პირველ საათზე უკან დავიხიეთ. ზარალი გვაქვს. 12 საათზე ძლიერი საარტილერიო სროლა ასტყდა. მგონია, რომ ჯებირი, რომელთანაც ჩვენ სანგრები გავიჭრეთ, აფეთქდება. პირდაპირ საწყალია, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.

17 აგვისტო. ჯარისკაცებმა ვაჭაცური გამოიყენება დაჰკარგეს. სახეები მკრთალი და მოქანცული აქვთ. დისციპლინა შესუსტდა. მრიოლებით უხალისოდ მიდიან იერიშზე.

27 აგვისტო...

...უნარიანობას. ოლქის ერთერთი უდიდესი საწარმო — ვოროშილოვის სახელობის ფაბრიკა სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას. სტახანოველი ფეიქარი ქალები ამხ. კუზნეცოვა, სედოვა, გოროდევა, ბაზანოვა და ვოროსოვა ყოველდღე ნორმის 120-დან 150-მდე პროცენტს იძლევიან. ომამდელთან შედარებით დიდად გაზარდა ქსოვილების გამოშვება ჩითის ფაბრიკა „პროლეტარკამ“. ბევრმა კალინინელმა სტახანოველმა სამამულო ომის დღეებში შრომის ნაყოფიერება რამდენჯერმე გაზარდა. ვაგონსარემონტო პუნქტის მეჭედლე ამხ. მაკეევი, სასწრაფო თავდაცვითი შეკვეთის დამზადებისას, ცვლაში 8 ნორმას ასრულებდა. კალინინის № ქარხნის სტახანოველი ამხ. ემელიანოვი სისტემატურად ექვსექვს ნორმას ასრულებს.

კალინინის ოლქის კოლმეურნეობები ამთავრებენ მოსავლის აღებას, საბრძოლო ტემპებით ლეწავენ პურს და მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ. კარგად ჩატარდა საშემოდგომო კულტურების თესვა. სანდოვის რაიონში დავალების გადამეტებით დათესილია 600 ჰექტარი, ოვინიშჩენსკის რაიონში—400, კუნიას რაიონში—350.

ოლქის მშრომელნი ეუფლებიან სამხედრო საქმეს. სახალხო ლაშქრის რაზმებსა და გამანადგურებელ ბატალიონებში ოლქის ათეულ ათასობით მშრომელნი ირიცხებიან. კალინინის № ქარხნის, ვოლოდარსკის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, დრამატიული თეატრისა და პედაგოგიური ინსტიტუტის მოლაშქრენი კარგად დაეუფლებულნი არიან შაშხანას, ტყვიამფრქვევს, ხელყუმბარას, შეისწავლეს ხიშტით ბრძოლა... 200-ზე მეტი დონორია, 250-მდე მუშა-ქალი სანიტარულ საქმეს სწავლობს.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 27 სექტემბერს შესდგა, ...

...სექტემბერს ამ გაზეთში გაგზავნა შემდეგი მიმართვა დიდი ბრიტანეთის ტანკმშენებლებისადმი:

„საბჭოთა რუსეთისათვის ტანკების მშენებლობის კვირეული გამოხატულებაა არა მარტო სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხალხების სოლიდარობისა ჰიტლერელთა მიხაკისფერი ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ იმ ფაქტის გამოხატულებაც, რომ ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე ამჟამად საბჭოთა კავშირს აწევს და რომ მშვიდობის თავისუფლებისმოყვარე ხალხები, თავისი საკუთარი ინტერესებისათვის, ყოველნაირად უნდა ეხმარებოდნენ, და არა ერთ კვირას, არამედ მრავალ კვირას, საბჭოთა კავშირს მის გიგანტურ ბრძოლაში ყველა ამ ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომლებიც ფაშისტური აგ...

...ბ-ნ შაპიროს („იუნაიტედ პრესი“), მაგიდოვის („ექსჩეინჯ ტელეგრაფი“), კიუის („ჩიკაგო დეილი ნიუსი“), ლევალის (რეიტერი), ჟორდანის („ნიუს ქრონიკლ“) შეკითხვაზე იმის შესახებ, რომ მომზადებულია თუ არა სამი სახელმწიფოს კონფერენცია ტექნიკურად, მომზადებულია თუ არა კონფერენციის მუშაობის პროგრამა, რამდენად ხშირად გამოქვეყნდება კონფერენციის ოფიციალური კომუნიკეები, შეიძლება თუ არა გამოითქვას ზოგიერთი თეორიული შეხედულებანი კონფერენციის მუშაობის შესახებ და სხვა, ამხ. ლოზოვსკიმ უპასუხა, რომ კონფერენცია ტექნიკურად მომზადებულია, ხოლო რაც შეეხება ყველა იმ დანარჩენ საკითხს, რომლებიც უცხოელ კორესპონდენტებს აინტერესებს, ეს საკითხები სამი სახელმწიფოს დელეგაციების კომპეტენციას ექ...

...ამხ. ლოზოვსკიმ უპასუხა, რომ სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა ყირიმისათვის და რომ ეს ბრძოლა სწარმოებს ყირიმს გარეთ.

ბ-ნ ვერგისა და სტიურის შეკითხვაზე იმის შესახებ, რომ სწორია თუ არა გერმანელთა ცნობები, თითქოს მათ შესძლეს ლენინგრადისაკენ წაწევა, ამხ. ლოზოვსკიმ უპასუხა, რომ ლენინგრადის მისადგომებზე დღედაღამ გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს. გერმანელებმა ამ ბრძოლებში უკვე დაჰკარგეს მრავალი ათეული ათასი მოკლულთა სახით, მაგრამ ისინი წინ ვერ მოიწევენ. რარიგ გააფთრებული და ხანგრძლივიც არ უნდა იყოს ბრძოლები ლენინგრადის მისადგომებზე, გერმანელები ლენინგრადს ვერასოდეს ვერ აიღებენ.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

დახმარება ფაშისტ ყაჩაღებისაგან დაზარალებულთ

ელნია, 26 სექტემბერი (საკ-დესი). ელნისა და ახლომახლო სოფლებში, რომლებიც განთავისუფლებულ იქნენ ფაშისტ მძარცველებისაგან, აღდგენითი სამუშაო გაჩაღდა. დაიწყო მოსავლის აღება და საშემოდგომო კულტურების თესვა, სწარმოებს ბინების მომზადება ზამთრისათვის.

ამ დღეებში სმოლენსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო ფაშისტ ბარბაროსთა შემოსევისაგან დაზარალებულ ელნის რაიონის მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. კოლმეურნეებს უფასოდ ეძლევათ ხე-ტყე მშენებლობისათვის. 300 ათასი მანეთი გადადებულია მოწაფეებისათვის ტანისამოსის, ფეხსაცმლისა და სახელმძღვანელოების შესაძენად. ელნიაში იხსნება სასადილო, სააცდმყოფო, ეწყობა სურსათ-სანოვაგისა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობა. რაიონში ჰქმნიან ფეხსაცმლისა და სამკერვალო სახელოსნოებს.

საოლქო ბიუჯეტიდან ელნიას რაიაღმასკომის განკარგულებაში გადაცემულია სახსრები ქალაქის შენობებისა და აბანოს აღსადგენად. მიწურებში მცხოვრები კოლმეურნეები მეზობელ სოფლებში გადასახლდნენ.

ინგლისისა და საბჭოთა პროფკავშირების პირველი კონფერენციის მომზადება

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკ-დესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, მიღებული ოფიციალური ცნობებით, ამჟამად სწარმოებს მზადება ტრედიუნიონების კონგრესისა და პროფკავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელთა პირველი კონფერენციისათვის, რომელიც მოსკოვში უნდა შეიკრიბოს. ინგლისის ტრედიუნიონებისაგან კონფერენციაზე დელეგატებად იქნებიან: ტრედიუნიონების კონგრესის თავმჯდომარე ვოლსტენკროფტი, კონგრესის გენერალური მდივანი სიტრინი, ალენი, კონლი და ჰარისონი.

წერილების გაცვლა სსრ კავშირის ინგლისში ელჩ ამხ. მაისკისა და საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ დე-გოლს შორის

ლონდონი. გუშინ, 18 საათზე ლონდონის დროით, სსრ კავშირის ელჩმა ამხ. მაისკიმ და თავისუფალ ფრანგთა მოძრაობის ხელმძღვანელმა გენერალმა დე-გოლმა საბჭოთა საელჩოში ერთმანეთს მიმართეს წერილებით, რომელთა მიხედვითაც საბჭოთა მთავრობა სცნობს გენერალ დე-გოლს ყველა თავისუფალ ფრანგთა ხელმძღვანელად. დე-გოლს თან ახლდა თავისუფალი საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის საგარეო საქმეთა რწმუნებული დე-ჟანი.

საბჭოთა ელჩის წერილში ნათქვამია:

„გენერალ დე-გოლს. ჩემი მთავრობის სახელით პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ იგი გცნობთ თქვენ, როგორც ყველა თავისუფალ ფრანგთა ხელმძღვანელს, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, რომლებიც დაირაზმნენ თქვენს გარშემო და მხარს უჭერენ მოკავშირეთა საქმეს. საბჭოთა მთავრობა მზად არის დაამყაროს კავშირი საფრანგეთის იმპერიის თავდაცვის საბჭოსთან, რომელიც შეიქმნა 1940 წლის 27 ოქტომბერს, ყველა იმ საკითხზე, რაც ეხება თანამშრომლობას საფრანგეთის ზღვასგაღმა სამფლობელოებთან, რომლებმაც თავისი თავი თქვენს განკარგულებაში გადმოსცეს. ჩემი მთავრობა მზად არის აღმოუჩინოს თავისუფალ ფრანგებს ყოველმხრივი დახმარება და ხელშეწყობა საერთო ბრძოლაში ჰიტლერის გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. ამავე დროს ვსარგებლობ ამ შესაძლებლობით, რათა ხაზი გავუსვა საბჭოთა მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნება ჩვენი საერთო გამარჯვება საერთო მტერზე, უზრუნველჰყოს საფრანგეთის დამოუკიდებლობისა და სიდიადის სრული აღდგენა. გულწრფელად თქვენი მაისკი“.

გენერალ დე-გოლის წერილში მაისკისადმი ნათქვამია:

„ჩემო ძვირფასო ელჩო! მე ვღებულობ ცნობად თქვენს მიერ ნაუწყებს იმის შესახებ, რომ თქვენი მთავრობა მცნობს მე, როგორც ყველა თავისუფალ ფრანგთა ხელმძღვანელს, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, რომელნიც დაირაზმნენ ჩემს გარშემო და მხარს უჭერენ მოკავშირეთა საქმეს, და რომ იგი მზად არის დაამყაროს კავშირი საფრანგეთის იმპერიის თავდაცვის საბჭოსთან, რომელიც შეიქმნა 1940 წლის 27 ოქტომბერს, ყველა იმ საკითხზე, რაც ეხება თანამშრომლობას საფრანგეთის ზღვასგაღმა სამფლობელოებთან, რომლებმაც თავისი თავი ჩემს განკარგულებაში გადმოსცეს. მე მადლობით ვღებულობ თქვენი მთავრობის დაპირებას, რომ იგი ყოველმხრივ დახმარებას და ხელშეწყობას აღმოუჩენს თავისუფალ ფრანგებს საერთო ბრძოლაში ჰიტლერის გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. მე აგრეთვე ფრიად მოხარული ვარ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია ხაზი გაუსვას თავის მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნება ჩვენი საერთო გამარჯვება საერთო მტერზე, უზრუნველჰყოს საფრანგეთის დამოუკიდებლობისა და სიდიადის სრული აღდგენა. ჩემის მხრივ, თავისუფალი ფრანგების სახელით, მე ვცისრულობ ვალდებულებას, იბრძოლონ საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების მხარეზე, ვიდრე მიღწეული არ იქნება საბოლოო გამარჯვება საერთო მტერზე, და აღმოუჩინონ სსრ კავშირს ამ ბრძოლაში ყოველმხრივი დახმარება და ხელშეწყობა ჩემს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით. გულწრფელად თქვენი დე-გოლი“.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

შუა-აზიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტები თეირანში

თეირანი. 25 სექტემბერს თეირანის საქალაქო ბაღში შესდგა შუა-აზიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. კონცერტს დაესწრო 1.500-ზე მეტი მცხოვრები. კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა.

26 სექტემბერს სსრ კავშირის ელჩმა ირანში ამხ. სმირნოვმა ირანის მთავრობის წევრებისა და დიპლომატიური კორპუსისათვის გამართა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი.

იმავე დღეს, საღამოს, ანსამბლი გამოვიდა სლავ ხალხთა მრავალრიცხოვან წარმომადგენლობის წინაშე, რომლებიც თეირანში ცხოვრობენ. კონცერტს არაჩვეულებრივი წარმატება ჰქონდა.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე



ოდესის გმირული დაცვა. ოდესის მშრომელნი მზად არიან მოიგერიონ მტრის ყოველი დარტყმა. სურათზე: ბარიკადები ქალაქის ქუჩებზე.

ფოტო გ. ზელმისა.

მეზღვაურ-არტილერისტთა ზუსტი ბათქები

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი, 26 სექტემბერი (საკდესი). ზუსტად ისვრიან ნაღმოსან „ს“-ს არტილერისტები. მთავარი ყალიბის ორი ბათქით განადგურებულ იქნა შენობა, სადაც გერმანიის ჯარის დიდი ნაწილის შტაბი იყო მოთავსებული.

მეორე დღეს ბატარიამ გაანადგურა მტრის ბენზინსაცავი და მეზღვაურმა-არტილერისტებმა უკუაქციეს ფაშისტთა ტანკები, რომელნიც იერიშით მოდიოდნენ № პუნქტისაკენ.

გერმანელებმა სროლა აუტეხეს ხომალდს. ჩვენმა დაზვერვამ გვაცნობა, თუ სად იმყოფებოდა მტრის ბატარია. ბალტიელებმა 4 ბათქით ჩააჩუმეს ფაშისტთა ქვემეხები.

ზუსტი სროლისთვის შენაერთის სარდლობამ ნაღმოსნის არტილერისტებს მადლობა გამოუცხადა.

ფაშისტებმა ვერ მოახერხეს მდინარეზე გადმოსვლა

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულება, 27 სექტემბერი (საკდესი). უმცროსი ლეიტენანტის პავლოვის ქვედანაყოფი თავდაცვისათვის დაბანაკდა მდინარე დ-ს ნაპირას. მეორე დილით უბანს, რომელსაც ამხ. პავლოვი იცავდა, მტერმა გააფთრებით დაუშინა ყუმბარა და ქვემეხისა და ნაღმმტყორცნის სროლა აუტეხა. მტერი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ჯარის წინააღმდეგობა დაძლეულია და მდინარეზე გადმოსვლა განიზრახა. იქითა ნაპირიდან წამოვიდნენ რეზინის ნავები, რომლებშიაც ფაშისტი ქვეითნი ისხდნენ, და გამოემართნენ იმ ადგილისაკენ, სადაც ამხ. პავლოვის ქვედანაყოფი იყო სანგრებში. ამხ. პავლოვმა ნაპირთან ახლოს მოუშვა ფაშისტები და, მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, თვითონ მიუჯდა დაზგის ტყვიამფრქვევს და უეცრად სროლა აუტეხა მტერს.

ზუსტი ცეცხლით მოსპობილ იქნა რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და ოფიცერი. უმცროსი ლეიტენანტი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ სროლა მაინც არ შეუწყვეტია მანამდე, სანამ მაშველი ძალები არ მოვიდნენ.

მტერმა ვერ შესძლო მდინარეზე გადმოსვლა.

ლეიტენანტი კირილოვი

ერთი ხუთის წინააღმდეგ

დასავლეთის მიმართულება, 25 სექტემბერი (საკდესი). ტოლსტიკოვის ნაწილის მფრინავი ლეიტენანტი მეშჩერიაკოვი თავს დაესხა ხუთ „იუნკერს-88“-ს და ცეცხლი გაუჩინა მტრის ერთ მანქანას. ბრძოლის დროს მეშჩერიაკოვის თვითმფრინავს წყლის სისტემა გაუხვრიტეს. ფაშისტების ტყვიები ვაზნის ყუთს მოხვდა და საომარმა მასალამ აფეთქება იწყო. მეშჩერიაკოვმა გაზს მოუმატა, მეორე „იუნკერსს“ უკანიდან მოექცა და ხრახნის დარტყმით ბოლო ფრთასხმულობა მოჰკვეთა. მტრის ორი მანქანის მოსპობის შემდეგ მეშჩერიაკოვმა თავისი მანქანა მშვიდობით დაუშვა მიწაზე.

გერმანიის ავიაციის ზარალი

დასავლეთის მიმართულება, 24 სექტემბერი (საკდესი). ქალაქ ვ-ს რაიონში ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს გერმანელთა თვითმფრინავზე „იუ-88“ და აიძულეს ჩვენს ტერიტორიაზე დაშვებულიყო. ადგილობრივმა გლეხებმა დაატყვევეს მტრის მზვერავის მთელი ეკიპაჟი, რომელშიც შედიოდა 4 კაცი: მეთაური — ლეიტენანტი ფრიდრიხ აუგუსტინი, პილოტი — უფროსი ეფრეიტორი რუდოლფ ტრაუტვაინი და 2 მსროლელი უნტერ-ოფიცერი—ვილჰელმ ენიხი და ვილი კინდერი. ეს მფრინავები შორი მზვერავების მე-14 ჯგუფის მე-4 რაზმში შედიოდნენ. ტყვეებმა განაცხადეს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის განმავლობაში გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს უდიდესი ზარალი მოუვიდათ. განსაკუთრებით დიდი ზარალი მოსვლიათ ადამიანთა და მატერიალური ნაწილის მხრივ საბრძოლო ფრენის დროს. „ჩვენი ავიაციის ზარალმა ჩვენი სარდლობის ყოველ მოლოდინს გადააჭარბაო“, — განაცხადა ლეიტენანტმა ფრიდრიხ აუგუსტინმა.

გერმანიის ავიაცია დღითი-დღე სულ უფროდაუფრო მეტად განიცდის კვალიფიციურ მფრინავთა კადრების ნაკლებობას,—განაცხადა უფროსმა ეფრეიტორმა რ. ტრაუტვაინმა. ჩვენი საუკეთესო პილოტები რუსეთის მიწა-წყალზე დავკარგეთ. ამჟამად თითქმის ყველა თვითმფრინავით დაფრინავენ 18-20 წლის ასაკის ახალგაზრდა მფრინავები, რომლებმაც საავიაციო სკოლა მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში დაამთავრეს.

მიწა იწვის ფაშისტების ფეხქვეშ

ჩრდილოეთ - დასავლეთის მიმართულება, 24 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის სარდლობა შეშფოთებულია გერმანიის არმიის ზურგში პარტიზანული მოძრაობის სწრაფი ზრდის გამო. სარდლობა ბრძოლის უსასტიკეს ღონისძიებებს ხმარობს თავდადებული, ზოგჯერ უცნობი გმირების წინააღმდეგ და მაინც ყოველდღიურად ლიანდაგიდან აგდებენ სამხედრო ტვირთიან მატარებლებს, აფეთქებენ საომარი მასალის საწყობებს, სწვავენ ბენზინსაცავებს, განუწყვეტლივ ესხმიან თავს გზებზე მიმავალ გერმანელთა კოლონებს.

ლატვიის საოკუპაციო ჯარის სარდალი იძულებული იყო ამას წინათ რადიოთი გადაეცა სასტიკი გაფრთხილება ლატვიელი პარტიზანებისადმი.

„ლატვიის ტერიტორიაზე,—აცხადებდა რადიო,—დღემდე მოიპოებიან წითელი არმიის ჯგუფები და ცალკეული წითელარმიელები, რომლებიც პარტიზანებთან და კომუნისტებთან ერთად იმალებიან ტყეებში.

მოვუწოდებ (რა თავაზიანობაა!) ყველა გადამალულ მეთაურს, წითელარმიელებსა და სხვებს გამოცხადდნენ გერმანიის არმიის უახლოეს ნაწილში. ვინც ნებაყოფლობით დაგვნებდება, სამხედრო ტყვედ ჩაითვლება.

ყველა, — განაგრძობს დაშინებას გერმანელი სატრაპი,—ვინც შეპყრობილი იქნება ტყეში, ბანდიტად და პარტიზანად ჩაითვლება. შეპყრობილნი გასამართლებულ იქნებიან ომიანობის დროის კანონის მიხედვით და დაუყოვნებლივ დაიხვრიტებიან.

მცხოვრებნი, რომლებიც კომუნისტებს, პარტიზანებსა და წითელარმიელებს მალავენ ან ეხმარებიან, სამართალში იქნებიან მიცემული ომიანობის დროის უმკაცრესი კანონების მიხედვით“.

ფაშისტებს ვერა შველით ვერც მუქარა, ვერც დახვრეტა. ისინი ძრწიან მოახლოებული მრისხანე განკითხვის ჟამის წინაშე. თითქმის ყველა ტყვე გერმანელი ჯარისკაცი აღნიშნავს, თუ რა თავზარდაცემულია მტერი პარტიზანული მოძრაობის გამო.

პოლკოვნიკ შტიკოვის ნაწილის მიერ განადგურებული გერმანელთა მე-290 დივიზიის სანიტარი ერვინ ლიუბერსი ამბობს:

„ამ უკანასკნელ ხანს პარტიზანები განსაკუთრებით ხშირად აწუხებენ ჩვენს ხალხს. ისინი თავს ესხმიან ალალებსა და ჩამორჩენილ ჯარისკაცებს. იყო შემთხვევა, რომ ჩვენს მიერ სოფლის დაკავების 5-6 დღის შემდეგ ღამით უეცრად თავს დაგვესხნენ შეიარაღებული ხალხის მცირერიცხოვანი ჯგუფები. მათ დიდი ზარალი მოგვაყენეს. პარტიზანების ძებნამ ვერავითარი შედეგი ვერ მოიტანა“.

პარტიზანები თავს ესხმიან გერმანელთა არა მარტო ცალკეულ ჯარისკაცებს, არამედ მცირე ჯგუფებსაც. იმავე მე-290 დივიზიის მე-502 ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონის მე-12 ასეულის ჯარისკაცი არტურ გოპი ამბობს:

„წითელ არმიას დიდ დახმარებას უწევს მოსახლეობა ჩვენი არმიის ზურგში. მოსახლეობა დახვრეტის საფრთხეს არაფრად აგდებს, პატარა ჯგუფებს ჰქმნის, და ეს ჯგუფები თავს გვესხმიან იქ, სადაც სრულიად არ მოველით“.

გერმანელმა ჯარისკაცმა კიპელმა დაკითხვისას აღნიშნა: ჩვენს ნაწილს გარშემოერტყა დიდი პარტიზანული რაზმი, რომელმაც მოსპო სურსათის ალალები და ამით უსაჭმელოდ დასტოვა გერმანელები 4 დღის განმავლობაში. პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი დივიზიის გამოყვანა მოგვიხდა, მაგრამ პარტიზანები გადაიმალნენ და თან წაიღეს დიდძალი იარაღი და საომარი მასალა.

დღითი-დღე სულ უფროდაუფრო ძნელდება სურსათისა და საომარი მასალის გადატანა გერმანელთა ჯარის მიერ დაკავებული ტერიტორიის გზებით.

მიწა იწვის ფაშისტების ფეხქვეშ. ხალხი აღსდგა და წმინდათაწმინდა სამამულო ომს აწარმოებს კაცობრიობის მტრების წინააღმდეგ.

ი. კოროლკოვი

საბჭოთა სანიტრების მამაცობა

დასავლეთის მიმართულება, 25 სექტემბერი (საკდესი). სანინსტრუქტორმა ჰასან ყარაყაევმა და სანიტარმა ჩერნოლისოვმა ომის განმავლობაში ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს 89 დაჭრილი მებრძოლი და მეთაური მათი იარაღითურთ. როცა სანიტრებს 89-ე დაჭრილი გამოჰყავდათ, თვითონ ისინი დაიჭრნენ. ამის მიუხედავად, სანიტრებმა დაჭრილი ბატალიონის სამედიცინო პუნქტში მიიყვანეს და პირველი დახმარება აღმოუჩინეს.

სანინსტრუქტორმა ალექსანდრე გონჩაროვმა ბრძოლის ველიდან გამოიყვანა 17 დაჭრილი და გამოიტანა ტყვიამფრქვევი და 10 შაშხანა.

მამაცი სანიტრები წარდგენილი არიან მთავრობის ჯილდოზე.



მოქმედი არმია. სურათზე: მძლავრი საბჭოთა არტილერია საცეცხლო პოზიციაზე.

ფოტო ლ. ველიკჟანინისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

მებრძოლი პატრიოტები

წითელფლოტელი დიმიტრი ობოლაძე

ხრესილელმა რკინიგზელმა სარდიონ ობოლაძემ შვილისაგან წერილი მიიღო:

„ჩემო ძვირფასო მამა! მე ძალიან კარგად ვარ და თავს მშვენივრად ვგრძნობ. დედაჩემს უთხარი, რომ ჩემი ჯავრი არ ექნეს. ისე, ჩემს პირად ამბავს თუ იკითხავთ, მე ახლა მოქმედ წითელ ფლოტში ვარ და დაუზოგავად ვანადგურებთ საზიზღარ ფაშისტებს. ამ ხნის განმავლობაში, ესე იგი მას შემდეგ, რაც საზიზღარმა ჰიტლერელებმა ჩვენს ქვეყანას ომი მოახვიეს თავს, მე მრავალი საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულება დამაკისრა ჩვენმა სარდლობამ. ყველა ეს ამოცანები წარმატებით შევასრულე და ამიტომ ჩვენი სარდლობა ჩემი დიდი მადლიერია.

გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. თქვენი ვალია იშრომოთ თავდადებით და მისცეთ სახელმწიფოს ყველაფერი, რაც საჭიროა მტერზე გამარჯვებისათვის. ნახვამდის! თქვენი დიმიტრი“.

საღამოს, როცა მუშაობა დაამთავრა, სარდიონი აჩქარებით მიდიოდა სახლისაკენ, თან ძვირფასი წერილი მიჰქონდა, რომ შვილის კარგი ამბით ცოლი გაეხარებინა.

ერთ სიხარულს — შვილისაგან წერილის მიღებას — მეორე კიდევ უფრო დიდი სიხარული მოჰყვა. ხრესილში გაზეთები მიიღეს და იქ გამოქვეყნებული იყო, რომ გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისა და

მამაცობის გამოჩენისათვის წითელფლოტელი დიმიტრი სარდიონის-ძე ობოლაძე დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

დიმიტრი დაიბადა 1915 წელს აპრილში. დიმიტრი ჯერ ხრესილის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ ქუთაისის რკინიგზის საშუალო სკოლაში, საიდანაც რკინიგზის ტრანსპორტზე სამუშაოდ გაგზავნეს.

დადგა 1938 წლის შემოდგომა. დიმიტრი ობოლაძე უკვე დავაჟკაცებული წვევამდელი იყო: ჯანსაღი, ახოვანი, კულტურული, პოლიტიკურად კარგად მომზადებული კომკავშირელი. რასაკვირველია, იგი უყოყმანოდ მიიღეს წითელი არმიის რიგებში. მაგრამ კომკავშირელ დიმიტრი ობოლაძეს ერთი სათხოვარი ჰქონდა გამწვევი კომისიისადმი: მას უეჭველად სამხედრო-საზღვაო ფლოტში უნდოდა წასვლა. მისი ეს თხოვნა კომისიამ დააკმაყოფილა...

ახლა დიმიტრი ობოლაძე ოდესის გმირ დამცველთა რიგებშია. მან სახელი გაითქვა, როგორც უნარიანმა, მოხერხებულმა და უშიშარმა მებრძოლმა.

ხალხთა მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინის სახელით, საყვარელი სოციალისტური სამშობლოს სახელით უმცროსი სერჟანტი დიმიტრი ობოლაძე და მისი ამხანაგი წითელფლოტელები მუსრს ავლებენ მზიური ქალაქის — ოდესის ირგვლივ ყვავ-ყორნებივით შემოხვეულ გერმანელ და რუმინელ ფაშისტთა ურდოებს.

პ. სადიკოვი

ორდენოსანი სერჟანტი პავლე ავთანდილაშვილი

ქარელი („კომუნისტის“ კორ.). 1940 წლის ზაფხულში სერჟანტი პავლე ავთანდილაშვილი თავის სამშობლო სოფელ ქარელში ისვენებდა. საღამოობით III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრები იკრიბებოდნენ და უსმენდნენ პავლეს საუბარს. პავლე მათ უამბობდა მდინარე ხალხინ-გოლთან და თეთრფინელებთან მომხდარი ომების საბრძოლო ეპიზოდებს, რომელთა მონაწილეც თვითონ იყო.

— პავლე გვიამბობდა, თუ როგორ გაუცრუვდათ იმედები თეთრფინელებს. ის ლაპარაკობდა მანერჰაიმის ხაზის აღებისას წითელარმიელთა სიმამაცისა და გმირობის შესახებ. მტრების ხსენებაზე მისი თვალები ენთებოდნენ. პავლე მოგვიწოდებდა თავდაცვითი მუშაობის გაძლიერებისაკენ; მისი სიტყვები არასოდეს არ დამავიწყდება,—ამბობს ქარელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. აბესაძე.

— პავლე თავიდანვე მკვირცხლი და გამრჯე ყმაწვილი იყო,—სთქვა პავლეს ბიცოლამ ევამ. — კოლმეურნეობაში ვაჟკაცივით მუშაობდა. შარშან ზაფხულს ჩვენთან ისვენებდა. ქალებს გვითხრა, დიდხანს რომ ვრჩებოდე აქ, მიზანში სროლას გასწავლიდით, მომავალ ბრძოლებში გამოგვადგებაო.

პავლე ავთანდილაშვილი დაიბადა 1917 წელს. წითელ არმიაში გაწვევის შემდეგ დიდი წარმატებით ეუფლებოდა თანამედროვე რთულ სამხედრო ტექნიკას. ის იყო საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი. ფინეთში ბრძოლის

დროს ჯილდოდ მიიღო სახელწარწერილი საათი.

ჩვენი სამშობლოს დაუძინებელ მტრებთან შეიარაღებულ ბრძოლებში ორჯერ ნამყოფი სერჟანტი პავლე ავთანდილაშვილი ახლა დიდ სამამულო ომშია; ის თავის მებრძოლ ამხანაგებთან ერთად ვაჟკაცურად ებრძვის ჰიტლერელ ბოროტმოქმედთა, მკვლელთა და მძარცველთა ფაშისტურ ბანდებს. თავისი სამშობლოს ერთგული შვილი ავთანდილაშვილი მამაცობისა და უშიშრობის მაგალითს იძლევა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვის საქმეში. მისი დამსახურება ღირსეულად იქნა აღნიშნული: გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სერჟანტი პავლე კონსტანტინეს-ძე ავთანდილაშვილი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

ამ ამბავმა სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია სოფელ ქარელის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა შორის. გახარებული არიან მისი დები და ძმები—ელგუჯა, გივი, ფლორა და ქუქუნა. მათი გმირი ძმა თავგანწირულად იბრძვის ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და საბჭოთა ხალხის თავისუფლების დამცველთა პირველ რიგებში.

ს. ყურაშვილი

სატანკო ქვედანაყოფის მეთაური იოსებ ბაჩაკაშვილი

17 წლისა იყო იოსები, როდესაც ის 1928 წელს სამშობლო სოფელ შილდიდან (ყვარლის რაიონი) წავიდა სამხედრო სასწავლებელში. ორი წელი დაჰყო მან სასწავლებელში, დავაჟკაცდა, სამხედრო მეცნიერებას საუკეთესოდ დაეუფლა. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა იოსები.

— მე მაინც არ ვკმაყოფილდები ჩემი ცოდნით. მსურს ტანკისტი გავხდე, — ხშირად სწერდა იგი თავის მშობლებს.

სურვილი სინამდვილედ იქცა. 1934 წელს დაამთავრა სატანკო სკოლა და დაიწყო სამსახური სატანკო ქვედანაყოფის მეთაურად.

წითელი მეთაური იოსებ ბაჩაკაშვილი ყოველთვის სიმამაცის ნიმუშებს იძლეოდა. ჯერ კიდევ 1939 წლის სექტემბერში პანების წინააღმდეგ ბრძოლებში მან სახელი გაითქვა მამაცობით. მის პირველ საბრძოლო ნათლობაზე ფრონტის გაზეთის კორესპონდენტი ა. რიზენკო სწერდა: „კომუნისტ ამხ. ბაჩაკაშვილის ტანკი გაიჭრა წინ. ცხადი გახდა, რომ იმ გზაზე, რომელზედაც ჩვენი ჯარები მიდიოდნენ, ოფიცერთა ჯგუფი ამზადებდა ხიდის აფეთქებას. ბაჩაკაშვილის ტანკი დროზე მივიდა ხიდთან და მტერს სროლა აუტეხა. მოჰკლა ერთი ოფიცერი, დანარჩენები ტყვედ ჩაიგდო ხელში. ხიდი აფეთქებისაგან იხსნა“.

— სამშობლოსათვის! სტალინისათვის!— ამ ლოზუნგით მიუძღვება წინ ამხ. ი. ბაჩაკაშვილი თავის სატანკო ქვედანაყოფს

ახლაც და თავგანწირვით იბრძვის გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის გასანადგურებლად.

„ჩემო მამა!—სწერს ფრონტიდან იოსები თავის მამას დავით ბაჩაკაშვილს სოფელ შილდაში.—მე კარგადა ვარ. უკვე ოთხჯერ ვიყავი ჩემი ტანკებით ცხარე ბრძოლებში“.

მოკლეა მისი წერილი. იგი ვაჟკაცია და თავდაბალი. არ უყვარს თავის ქება, მაგრამ საგმირო საქმეები არ დაიკარგება. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 22 ივლისის დილის ცნობაში ვკითხულობთ: „დაბა ლ-დან სამ კილომეტრზე გერმანელი პარაშუტისტების დესანტი დაეშვა. სატანკო ქვედანაყოფის მეთაურმა ბაჩაკაშვილმა სამი ტანკის ეკიპაჟებს უბრძანა შეემუსრათ ფაშისტები. საბჭოთა ტანკების უეცარმა გამოჩენამ მტრის რიგებში არევ-დარევა შეიტანა. ტანკისტებმა მოსპეს დივერსანტების მთელი რაზმი“.

ამ ცნობამ დიდად აღაფრთოვანა მისი მშობლები.

„ჩვენთან ერთად,—სწერს მამა შვილს,— მთელს რაიონს გაუხარდა შენი მამაცობა, ჩემო შვილო. მამაშენი დარწმუნებულია, რომ შენ, ჩემო ვაჟკაცო, კვლავ მამაცურად გაუმკლავდები საზიზღარ მტერს, კვლავ თავგანწირვით იბრძოლებ სტალინისათვის, სამშობლოსათვის“.

ს. ხუტილაშვილი

სერჟანტი დ. გოგიჩაძე

დულა გოგიჩაძე 21 წლის ჭაბუკია. 1939 წელს ფრიადზე დაამთავრა ტყიბულის მოზრდილთა საშუალო სკოლა და თავისი სოფლის ალისუბნის (ჩხარის რაიონი) ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას დაუბრუნდა. აქედან გაიწვიეს იგი წითელ არმიაში.

დღეს იგი კვლავ თავის სოფელ ალისუბანშია მოქმედი არმიიდან ერთი თვის შვებულებით დაბრუნებული. დულას სამი ჭრილობა აქვს.

— 1941 წლის 22 ივნისი თენდებოდა,—მოგვითხრობს მებრძოლი დულა გოგიჩაძე,—ჩემი დანაყოფი რუმინეთის საზღვართან იყო. მოულოდნელად განგაში ატყდა. დავინახეთ მტრის ავიაგამანადგურებლები. 20-30 წუთი, და თვითმფრინავიდან ჩამოყრილმა ყუმბარებმა ცეცხლის ალში გახვია ყველაფერი. დანაყოფი მარჯვე ადგილს შევახამე, მებრძოლები სიკვდილს გადავარჩინე. კარგად გათენებული იყო, როცა ჩვენსკენ მომავალი მტრის ორი ტანკი გამოჩნდა. მე კვლავ შევახამე დანაყოფი და ტანკებს გავლა ვაცალე. მალე მტრის ტანკებს წინიდან ჩვენებმა აუტეხეს სროლა. ტანკები უკან გამობრუნდნენ და ჩემს დანაყოფს შეეჩეხნენ. დაგვიდგა მარჯვე საბრძოლო მომენტი. მტრის ტანკებს დაუყოვნებლივ დავაყარეთ ქვემეხთა ცეცხლი. 4-5 სროლით მოვსპეთ ტანკები ეკიპაჟებიანად. ჩვენ არავითარი ზარალი არ მოგვსვლია...

— 9 ივლისს,—განაგრძობს მებრძოლი,—დაბა კ-ში დავბანაკდით. მე საბრძოლო მასალის მოსატანად წავედი ახლო ნაწილში. ღამე იყო. მივდიოდი ცხენით ღრან ტყეში, სადაც იარაღაყრილ წითელარმიელს შევხვდი. მთვარის სინათლეზე დავინახე, რომ მებრძოლი პირიდან სისხლს ანთხევდა და ხელებით რაღაცას მანიშნებდა. მივედი და ვნახე, რომ საბრალოს ენა ჰქონდა ამოჭრილი მუხანათი მტრის მიერ. მინდოდა გამხეცებული ფაშისტების ეს მსხვერპლი ჰოსპიტლამდე მიმეცილებინა, რომ წინ ორი რუმინელი გადამეღობა.

— ხელები მაღლა!—მიბრძანეს მათ დამტვრეული რუსულით.

მეც ცალი ხელი მაღლა ავწიე, მეორით კი, ვითომ ცხენს სადავეთი ვაჩერებდი, რევოლვერი გავიძრე. ერთი ბანდიტი იქვე გავაგორე, მეორე კი დავჭერი და ვუბრძანე ხელები მაღლა აეწია. ასე ხელაწეული მივიყვანე იგი ჩვენს შტაბში. როგორც შემდეგ გავიგე, ჩემს მიერ შეპყრობილი რუმინელი ჯაშუში აღმოჩენილა და ბევრ საიდუმლოებაშიაც გამომტყდარა. მე მაშინ მადლობის გარდა დამაწინაურეს უმცროსი სერჟანტობიდან სერჟანტად და საველე გაზეთშიც შემაქეს მამაცობისათვის.

დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიხდა ჩვენი დანაყოფის მებრძოლებს 4 აგვისტოს.

ნაშუადღევს, იმ უბანზე, სადაც ჩემი დანაყოფი იყო, ფაშისტთა ძლიერი რაზმი გადმოვიდა შეტევაზე. ჩვენ ქვემეხები მოვამზადეთ და მტერი 700-800 მეტრზე რომ მოგვიახლოვდა, ძლიერი სროლა ავუტეხეთ. ვხედავდით, თუ როგორ ხვდებოდა ჩვენი ჭურვები მტრის ავტოკოლონას, როგორ მასობრივად ელუპებოდნენ მტრის ჯარისკაცები და ნამსხვრევებად იქცეოდნენ მტრის ავტომობილები. ამ შეტაკების დროს ფაშისტთა რაზმი მთლიანად გავანადგურეთ. ხელთ ვიგდეთ ჩაკლებად დაზიანებული 25 გერმანული ავტომანქანა და ტყვედ წამოვიყვანეთ 4 გერმანელი ჯარისკაცი. ჩვენს მხარეზე კი არცერთი არ ყოფილა მოკლული ან დაჭრილი.

14 აგვისტოს მუხანათ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების დროს სამი ჭრილობა მივიღე. ერთი თვე ჰოსპიტალში გავატარე და კარგად რომ მოვკეთდი, სამშობლოში წამოვედი მოკლე დროით. რამდენიმე დღეა, რაც ჩამოვედი, მაგრამ ვეღარ ვჩერდები, გული არ მითმენს აქ ყოფნას, როცა ჩემი ამხანაგები იქ ფრონტზე მტერთან ბრძოლაში არიან ჩაბმული. ვერ ვისვენებ, რადგან ძნელია დაისვენოს კაცმა, რომელსაც თვითონ უნახავს და განუცდია ფაშისტი მტარვალების მიერ ჩადენილი მხეცობანი...

— მალე სავსებით გამოვჯანსაღდები,—ამბობს დაჭრილი მებრძოლი, — და დაუყოვნებლივ გავსწევ ფრონტისაკენ, რათა შური ვიძიო საზიზღარ მტერზე. ჩემი ძმა ვლადიმერიც იქ არის. იქ არიან ჩემი ტოლ-ამხანაგები.

დ. საბელაშვილი

მადლობის წერილები მოქმედი არმიიდან

ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეთა თაოსნობით წითელი არმიის დევ-გმირი მებრძოლებისათვის საჩუქრები შეგროვდა. პატრიოტმა ბავშვებმა საჩუქარს გულწრფელი, კეთილი სურვილებით აღსავსე წერილი დაურთეს და მოქმედი არმიის ერთერთი ნაწილის მისამართით გაგზავნეს.

ამანათი მოქმედ არმიაში მივიდა. მებრძოლებს გაეხარდათ. მათ ამ ფაქტშიც მებრძოლთადმი ზურგის მზრუნველი სიყვარული და მზრუნველობა დაინახეს. ქუთაისელ პიონერთა წერილს წითელი მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები შეკრებაზე გაეცნენ. შეკრების მონაწილეებმა ქართველ არტილერისტს, სერჟანტ ამხ. **იაშა არჩილის-ძე პავლაძეს** დაავალეს მადლობის წერილი გამოეგზავნა ქუთაისელი ბავშვებისათვის.

„მომქმედი წითელი არმიის მებრძოლთა დავალებით უდიდეს მადლობას გადმოგცემთ ამხანაგებო, საყვარელო პიონერებო“—სწერს სერჟანტი ამხ. ი. პავლაძე ქუთაისელ პიონერებს. „სიტყვას გაძლევთ ამხანაგო პიონერებო, რომ სიცოცხლეს არ დავზოგავთ ფაშიზმის განადგურებისათვის, სიცოცხლეს არ დავიშურებთ ჩვენი მზიური სამშობლოსათვის“. დასასრულ ამხ. ი. პავლაძე პიონერებს მოუწოდებს: „ძვირფასო პიონერებო, თქვენი ამოცანაა ისწავლოთ ფრიადზე, განსაკუთრებით დაეუფლოთ სამხედრო საქმეს, დაეხმაროთ მშობლებს“.

მასწავლებლისადმი გულითადი მადლობის გრძნობით არის გამსჭვალული წითელი მებრძოლის ამხ. **გაიოზ ბახუტაშვილის** წერილი. მან შარშან ფრიადზე დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის საშუალო სკოლა და წითელ არმიაში წავიდა. სკოლაში მიღებული ცოდნა ამხ. გაიოზს დაეხმარა სამხედრო მეცნიერების, სამხედრო ხელოვნების დაუფლებაში.

„ყველაფერი, რაც თქვენ მასწავლეთ, ძალიან მშველის ბრძოლაში. ფიზიკის კაბინეტში მიღებული გამოცდილება უკვე რამდენჯერმე დამეხმარა ფრონტზე გადამწყვეტ მომენტში“, — სწერს ამხ. გ. ბახუტაშვილი მასწავლებელ ამხ. შ. კობახიძეს.

და შემდეგ განაგრძობს: „როგორც შემოდგომის ბუზი სიკვდილის წინ, ისე იკბინება ჰიტლერი. იგი გრძნობს მოახლოვებულ აღსასრულს. იგი ამ ომით მიიღებს იმას, რაც ნაპოლეონმა მიიღო რუსეთში 1812 წელს. ჩვენ მართალნი ვართ, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ“.

ასეთი მჭიდრო ურთიერთობაა წითელი არმიის ფრონტსა და ზურგს შორის; ასეთი ოპტიმისტური, გამარჯვების რწმენით აღსავსე წერილები მოდის მოქმედი არმიიდან, ასეთივე წერილები მიდის ბრძოლის ველზე — ზურგიდან.

ინიციატივა და მოულოდნელობა

მანევრული ომი მტრის ღრმა ზურგში შეუმჩნევლად გადასვლისა და მთელი რიგი უეცარი დარტყმებით მისთვის ფრიად საგრძნობი ზარალის მიყენების შესაძლებლობას იძლევა. ზურგში მოქმედი ნაწილი, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო წინდახედულად უნდა მოქმედებდეს, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. მთავარი, რაც უზრუნველჰყოფს წარმატებას, არის ირგვლივი და განუწყვეტელი დაზვერვა.

სარდლობის ბრძანების შესასრულებლად ჩვენმა ბატალიონმა გაარღვია ფრონტის ხაზი და მოახდინა შეიდღიანი რეიდი გერმანელ-ფაშისტთა ნაწილების ზურგში. მოძრაობის, დასვენებისა და ბრძოლის დროს ჩვენ ვაწარმოებდით განუწყვეტლივ დაზვერვას ყოველი მხრივ. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ მოძრაობის მიმართულებით მხოლოდ გაძლიერებული საბრძოლო დაცვით ვკმაყოფილდებოდით, ხოლო დაზვერვის სიმძიმის ცენტრი ზურგში და ფლანგებზე გადაგვქონდა. მაგალითად, ასე ვმოქმედებდით, როდესაც გვცდებოდა ხოლმე მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდე და საჭირო იყო დავშორებოდით მდევართა ჯგუფებს.

მტრის ზურგში ჩვენი ბატალიონი შეეჯახა მტრის ძალებს, რომლებიც მას რიცხვობრივად სჭარბობდნენ. მაშინ მე ასეულებს დავუყენე ამოცანა: არ მიელოთ ხანგრძლივი ბრძოლა, გაეკეთებინათ ყველაფერი, რომ ჩამოშორებოდნენ მტერს და მიმალულიყვნენ. გამოვყავით სიფარი ნაწილი და მის ამოფარებით სამი კილომეტრით დავიწიეთ უკან. უცებ დაზვერვამ მოიტანა ცნობა—მტერი გაჭრაო. ამან შემაშფოთა. ბრძოლაში ყველაზე უარესი ის არის, როდესაც არ იცი, სად იმყოფება მტერი,—აქ რაღაც მოულოდნელს უნდა ელოდე. ამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანეს სხვა მზვერავმა ჯგუფებმა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებდნენ. მათ მოიტანეს ცნობა, რომ გერმანელები მანევრს აკეთებენ და ცდილობენ გარს შემოგვერტყან. ბატალიონმა სწრაფად გაიარა ტყე, რომელიც დაკავებული არ იყო მტრის მიერ, და წაუვიდა დაღევნებულ მტერს.

ზურგში მოქმედი ნაწილის ან ქვედანაყოფის ტაქტიკა ასეთი უნდა იყოს. თუ შეხვდები მტერს, რომელიც ძალით აღემატება, სცადე უეცარი დარტყმით იერიში მიიტანო მასზე საფარიდან. თუ ჩასაფრება შეუძლებელია,—სცემს ნუ შეებმი მტერს და დაკვირვებით ადევნე მას თვალი. მცირერიცხოვან მტერზე სწრაფად უნდა მიიტანო იერიში და მოსპო, თუ ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის ძირითადი ამოცანის შესრულებას. მთავარია ის, რომ არ გაგიტაცოს კერძო ეპიზოდებმა, მოსძებნო უფრო დიდმნიშვნელოვანი ობიექტი და სწრაფად გაანადგურო იგი.

მზვერავებმა მოიტანეს ცნობა, რომ დასავლეთიდან გზით სოფელ დუხნოვსასაკენ მიდის გერმანელთა 23 სატვირთო და რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა. მე ვივარაუდე, თუ რამდენი კაცი იქნებოდა ამ კოლონაში. დაახლოებით, გაძლიერებული ბატალიონი. ცნობების დასაზუსტებლად მზვერავებთან ერთად წინ წავედი და გამოვარკვიე, რომ მანქანებზე იყო არა ქვეითი ჯარი, არამედ რაღაც სხვა. კოლონას იცავდა ასზე ცოტა მეტი კაცი. შოფერებთან და სხვებთან ერთად სულ იქნებოდა 150-160 გერმანელი.

ჩვენ გადავწყვიტეთ გარს შემოერტყმოდით გერმანელთა კოლონას და მოგვესპო იგი. თავდასხმისათვის ყველაზე შესაფერი ადგილი იყო გზის ნაკვეთი ნაკადულზე გადებულ ხიდსა და სოფელ სიდოროვკას შუა. ბატალიონი დავაყენე სიმაღლე 64,3-ის დასავლეთით და ვუბრძანე აქ ეცადნა. მთავარი იყო ის, რომ არ დაგვეფრთხო მტერი, შესაძლებლობა მიგვეცა კოლონის უკანასკნელი მანქანისათვის გადმოსულიყო ნაკადულს აქეთ და შემდეგ აგვეფეთქებინა ხიდი.

როდესაც კოლონის წინა ნაწილმა ხიდზე გადასვლა დაიწყო, ჩვენმა მესამე ასეულმა ლეიტენანტ ელისეევის მეთაურობით გერმანელებს მოუარა სამხრეთიდან პატარა ჭალაზე გავლით (იხ. სქემა). ლეიტენანტ რომანოვის პირველმა მსროლელთა ასეულმაც გარს მოუარა მტერს, მაგრამ მარჯვნიდან. ელისეევს უნდა დაერტყა კოლონის ბოლოსათვის და მისთვის უკანდახევის შესაძლებლობა მოესპო. რომანოვი გერმანელებზე იერიშს მიიტანდა შიგ ცენტრში. უსახელო სიმაღლის ჩრდილო-დასავლეთის ფერდობზე (გზიდან სამხრეთით) მე დავაყენე მეტყვიამფრქვევეთა ასეული; მის ჩრდილოეთით, აგრეთვე პატარა სიმაღლეზე, იმყოფებოდა უმცროს ლეიტენანტ ბოევის მეორე მსროლელთა ასეული. მას უნდა დაერტყა კოლონის წინა ნაწილისათვის, თუ ფაშისტები სცდიდნენ სიდოროვკისაკენ გაჭრას.

გერმანელებმა მაინც შეგვნიშნეს, მაგრამ ეს უკვე იმ მომენტში იყო, როდესაც მთელი კოლონა გამოვიდა ხიდზე. მანქანებმა, რომლებსაც დაზგის ტყვიამფრქვევთა ცეცხლი შევაგებეთ, იწყეს სწრაფად მობრუნება, რომ დუხნოვოს იქით გაქცეულიყვნენ. მაგრამ ეს ვეღარ შესძლეს. ჩასაფრებულმა ლეიტენანტმა ელისეევმა მიაშურა ხიდს, დაანგრია იგი და ცეცხლი წაუკიდა რამდენიმე მანქანას, რომლებიც კოლონაში უკანასკნელნი მიდიოდნენ. ფაშისტებში პანიკა დაიწყო. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მათ შესძლეს დარაზმვა და აამოქმედეს რამდენიმე ტყვიამფრქვევი და ნაღმმტყორცნი, რომლებიც გაამწკრივეს გზის ჩრდილოეთით მდებარე ჭალის პირას. ელისეევის ასეულმა დროებით შეაჩერა წინსვლა და ჩაწვა.

ამ დროს მაშველად მოვიდა პირველი მსროლელთა ასეული. მან დასცხო მტერს და მდგომარეობა შეუმსუბუქა მესამე ასეულს. მებრძოლები, რომლებიც მტრის ცეცხლმა აიძულა გაკვეროდნენ მიწას, წამოდგნენ და განაახლეს იერიში. ბრძოლაში ჩაება მეორე ასეულიც. მტერი გაგდებულ იქნა მანქანებიდან სამხრეთისაკენ.

ბრძოლა უკვე 20-25 წუთს გრძელდებოდა. მე ვშიშობდი, რომ სროლას გაიგონებდნენ მახლობლად მყოფი გერმანელთა სხვა ნაწილები და კოლონის მისაშველებლად მოაშურებდნენ. საჭირო იყო სიჩქარე. გაქცეულ ფაშისტებს ჩვენ კვლავ დავეწიეთ და გარს შემოვერტყით. ელისეევმა მათ საბოლოოდ მოუჭრა უკანდასახევი გზა. ბატალიონის დანარჩენი ქვედანაყოფები გზის მხრიდან აწვებოდნენ. მეტისმეტად თავისებური ვითარება შეიქნა. გერმანელები — ცენტრში, ჩვენ მათ გარშემო. მაგრამ მტერს ვერ ვესროდით, რადგან შეგვეძლო ზარალი მიგვეყენებინა მეორე მხარეზე მყოფი ჩვენებისათვის. ფაშისტები ჩაწვნენ ბუჩქნარში და გვესროდნენ.

— დასცხე ხელყუმბარებით! — გაისმა ბრძანება. რამდენიმე ათეული ყუმბარა ვესროლეთ ბუჩქებს, სადაც გერმანელები იწვნენ. გაისმა აფეთქებათა ხმა და ორი-სამი წუთის შემდეგ მტერი დაგვნებდა. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 40 ტყვე, დავიწყეთ ნადავლის თვლა.

ამ ბრძოლაში ჩვენ მოვსპეთ ასზე მეტი ფაშისტი, დავამსხვრიეთ ყველა 23 სატვირთო ავტომობილი, რომლების უმრავლესობა დატვირთული იყო კავშირგაბმულობის ქონებით, მოვსპეთ 7 მსუბუქი მანქანა, სურსათით დატვირთული 3 ხუთტონიანი მანქანა. ხელთ ვიგდეთ 5 ტყვიამფრქვევი, 120 შაშხანა, 80 რევოლვერი, რუკები, დოკუმენტები.

შემდეგ ბატალიონი უკან გამობრუნდა. გზაზე რამდენიმე შეტაკება გვქონდა გერმანელთა ცალკეულ ჯგუფებთან, რომლებიც, სჩანს, კოლონის დასახმარებლად მოეშურებოდნენ. ზოგან ბრძოლით, ხოლო ზოგან ბრძოლისათვის თავის არიდებით ბატალიონმა დაღამებამდე შესძლო დაშორებოდა მტერს.

საინტერესოა შემდეგი დეტალი. ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დროს ფაშისტებმა ძლიერ შემოგვუტიეს. ასეულები სწრაფად იწევდნენ უკან. ტყვეების მიმართ მეთვალყურეობა შესუსტდა. ფაქტიურად ისინი თავის ანაბარა იყვნენ მიტოვებული. ჩვენს გოლებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ახალ მიჯნაზე თავმოყრისას დავინახეთ, რომ ყველა ტყვე კვლავ ჩვენთან მოდიოდა.

— არ გაიქეცით? — ჰკითხა გერმანელ ჯარისკაცებს ერთერთმა მეთაურმა.

— გვეყოფა, საკმაოდ ვიომეთ, დაე ფიურერმა მარტო იბრძოლოს,—უპასუხა ობერ-ეფრეიტორმა.

მეორე დღეს მშვიდობიანად დავბრუნდით ჩვენს ნაწილში. იქვე მივიყვანეთ ტყვეებიც.

მტრის ზურგში ჩატარებულმა რეიდმა ბევრი რამ გვასწავლა. აღმოჩნდა, რომ გერმანელებს ყველგან არა ჰყავთ დიდი რეზერვები. მტრის ზურგში მოქმედების ყველაზე ძნელი ეტაპია უკან დაბრუნებისას ფრონტის ხაზის გადავლა. ეს იმით აიხსნება, რომ რეიდის დროს ფრონტის ვითარება შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ აქაც შეიძლება გამოსავლის პოვნა. კარგად მოწყობილი დაზვერვის საშუალებით. თუ ძლიერ მოწინააღმდეგეს წააწყდები, გვერდი აუარე, ხოლო თუ უფრო სუსტ ადგილს იპოვნი,—ბრძოლით განვლე იგი.

კაპიტანი ნ. რედიუკი

მოქმედი არმია.

(„კრასნაია ზვეზდა“, 19/IX).

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკური აგიტაცია სამამულო ომის სამსახურში

დიდი სამამულო ომის ვითარებაში ყოველ რკინიგზელს მოეთხოვება თავდადებული შრომა, რკინისებური ნებისყოფა, პარტიისა და მთავრობის ყველა დავალებათა ზუსტი შესრულება. ამ მხრივ პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაშალონ საპროპაგანდო მუშაობა და მასობრივ-პოლიტიკური აგიტაცია.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ახალ ვითარებასთან დაკავშირებით დროულად გარდაქმნა სააგიტაციო მუშაობა, გაზარდა მასების ინტერესი პოლიტიკური აგიტაციისადმი. ამჟამად ამ ქარხანაში 109 აგიტატორი მუშაობს. ისინი თითქმის ყოველდღიურად ატარებენ მოხსენებებს, საუბრებს, კონსულტაციებს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის: დიდი სამამულო ომი, საბჭოთა პატრიოტიზმი, წითელი არმიის სამი თავისებურების შესახებ, 1918 წელს გერმანელ ინტერვენტთა განადგურების და სხვ. შესახებ. ომის დაწყებიდან ჩატარებულია სულ 46 საუბარი, 19 ლექცია, 30 ჯგუფური კონსულტაცია.

აგიტატორთაგან განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ამხ. ფარცხალაძე, ლოლაძე, ცაგარეიშვილი, ხუციშვილი და სხვ. მათ მიერ მასობრივი აგიტაციის სათანადოდ ორგანიზებამ დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდას. მაგალითად, ომის დაწყებამდე ხარატი ამხ. ვ. როთველაძე გეგმას მხოლოდ 90 პროცენტით ასრულებდა, ახლა კი მან თავისი გამომუშავება 160 პროცენტით გაზარდა. მრავალდაზგისანი ამხ. გ. მუხიგულაშვილი ნორმას 300 პროცენტით ასრულებს. ასევე დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს ამხ. ვ. ჯავახიშვილი, ი. ალექსეევი, პ. სუხიტაშვილი და ბევრი სხვა.

ბოლშევიკ აგიტატორის ნაყოფიერ მუშაობას ტრანსპორტზე დიდი მაორგანიზებელი ძალა აქვს, იგი განუხრელად ზრდის პატრიოტიზმის გრძნობას, ხელს უწყობს მშრომელთა ენერგიის მობილიზებას საწარმოო დავალებათა უკეთ შესასრულებლად. ეს მტკიცედ აქვთ შეთვისებული სატენდერო საამქროს აგიტატორებს ამხ. მიქაძეს და კოლესნიკოვს, რომლებიც შრომის დისციპლინას ამაღლებენ თავისი საამქროს მუშებს შორის, რითაც ამ საამქრომ საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია. საქვაბე საამქროს ბრიგადამ, რომელიც წინათ გეგმას 150 პროცენტით ასრულებდა, ამჟამად გამომუშავება 300 პროცენტამდე აიყვანა.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გარდაქმნით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ამ ქარხანაში ყოველდღიურად იზრდება ორასოვანთა რიგები, რომლებმაც ამასწინათ მოწოდებით მიმართეს მთელ საქართველოს მუშებს. მათს მიმართვას ფაბრიკა-ქარხნები ფართოდ გამოეხმაურნენ.

სამამულო ომთან დაკავშირებით კარგად უნდა იყოს დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური აგიტაცია ყოფილ საარჩევნო უბნებში. ეს ასეც არის. პარტორგანიზაციის მიერ აქ სამუშაოდ გამოყოფილი აგიტატორი ამხ. კიკალეიშვილი მოფიქრებულად აწყობს აგიტაციას თავის საგიტაციო უბანში. იგი სისტემატურად უშვებს კედლის გაზეთს, ატარებს საუბრებს და ხმამაღლა კითხვას.

სტალინელთა მუყაითი მუშაობით უნდა აიხსნას ისიც, რომ მათ ათეულ ტონობით შეაგროვეს ფერადი ლითონები. მარტო ივლისში მათ მიერ შეგროვილია 700 ტონა ლითონი, ხოლო აგვისტოში—800 ტონა.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები თავისი ყოველდღიური თავდადებული სტახანოვური შრომით ეხმარებიან ჩვენს სახელოვან მშობლიურ წითელ არმიის ფაშისტური ბარბაროსების განადგურებაში.

დ. მარიამიძე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებში აღდგენილი არიან:

ვასილ ილიას-ძე **მაზიაშვილი**, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო საქ. კ. პ. (ბ) წევრობიდან ცემენტის მოპარვისათვის; ივანე ალექსის-ძე **მუშკუდიანი**, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წ. 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო საქ. კ. პ. (ბ) წევრობიდან სამუშაოს გაცდენისათვის.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

მასიმ ისაბალი ოღლი **უხუპოვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2853562—ქრთამის აღებისა და სასამართლოსათვის ყალბი ჩვენების მიცემისათვის; აკაკი სიმონის-ძე **ჭეიშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1940 წლიდან, პარტბილეთი № 3306953—იმისათვის, რომ პარტიას დაუმალა თავისი ყოფნა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციაში და ის, რომ 1922 წელს დაპატიმრებული იყო; ნიკოლოზ რუბენის-ძე **მარუთოვი** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0519694—საბარგო მატარებლით მგზავრობისათვის; ალასარ სედრაქის-ძე **ზეითუნიანი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2856915—ოთახების ყიდვა-გაყიდვისა და თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისათვის.

გმირული შრომით დავეხმაროთ ფრონტს

ლიმონტრესტის მეურნეობებმა ჩაის კრეფის გეგმა შეასრულეს

ლიმონ-მანდარინის ტრესტის (დირექტორი ამხ. ციცხვაია) საბჭოთა მეურნეობებმა 21 სექტემბრისათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულეს 105,2 პროცენტით.

ახალშენის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის კრეფის წლიური დავალება შესრულებულია 109,7 პროცენტით, ციხისძირის მეურნეობაში—101,6 პროცენტით, ქვარიკეს მეურნეობაში — 125,3-ით, ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობაში — 123,5 პროცენტით.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

გეგმების შესრულება

ქედა (აჭარის ასსრ). ქედის რაიონის მშრომელებმა ნაცვლად გათვალისწინებული 2.300.000 ზონარმეტრისა, 395 ჰექტარზე აიღეს 2.600.000 ზონარმეტრი თამბაქო, გეგმის 113,3 პროცენტი. თამბაქოს უხვი მოსავლის აღება გრძელდება.

დიდი ენტუზიაზმით სწარმოებს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარება. კალენდარული გეგმის მიხედვით 20 სექტემბრისათვის სახელმწიფოსათვის ჩაბარებული უნდა ყოფილიყო 8 ტონა თამბაქო, ფაქტიურად ჩაბარებულ იქნა 42 ტონა.

საქ. კ. პ. (ბ) ქედის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი **ქ. ლომაძე.**

* * *

სოხუმი. „საქბოსტჯიშთესლის" აფხაზეთის ბაზამ გადაჭარბებით შეასრულა ბოსტნეულ მცენარეთა თესლის დამზადების წლიური გეგმა — ნაცვლად გათვალისწინებული 4.840 კილოგრამისა დაამზადა 5.936 კილოგრამი თესლი, გეგმის 122,6 პროცენტი. ბოსტნეულის თესლის დამზადება გრძელდება.

„საქბოსტჯიშთესლის" აფხაზეთის ბაზის უფროსი **შვანია**

თესვა დაიწყეს

თბილისის რაიონი. სოღანლუღის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ 23 სექტემბერს დაიწყო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა. კოლმეურნეობაში თელეთის მტს-ის პ. ხარკოვსკის სატრაქტორო ბრიგადის საშუალებით 2 დღეში დაითესა 54 ჰექტარი. ტრაქტორისტები დ. ზიბერტი, გ. ტარასოვი, ნადია ივანოვა და მარია ზუბაკოვა დღიურ ნორმებს ორმაგად და ზოგჯერ სამმაგადაც ასრულებენ. თესვა წარმატებით გრძელდება.

შ. გოგიძე

* * *

მცხეთა („კომუნისტის" კორ.). მცხეთის მტს-ის პირველი სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი გ. ბულაცაშვილი) სამამულო ომის დღეებში საკოლმეურნეო მინდვრებში თავდადებულად მუშაობს. ბრიგადამ საშემოდგომოდ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 297 ჰექტარისა, მოხნა 369 ჰექტარი. გ. ბულაცაშვილის ბრიგადა ახლა საკოლმეურნეო მინდვრების ხვნაში ეხმარება მეექვსე სატრაქტორო ბრიგადას.

დ. რთველიაშვილი

ჩაის საბჭოთა მეურნეობებში

ორდენოსანი საქართველოს ჩაის პლანტაციებში სტახანოველები ჩაის კრეფის დღიურ ნორმას ორმაგად, სამმაგად და უფრო მეტად ასრულებენ. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში ფართოვდება ორასოვანთა მოძრაობა. ომიანობის დროის სტახანოველები შრომის სწორი ორგანიზაციით, სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენებით ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

საბჭოთა მეურნეობების მუშა პატრიოტი ქალები თავდადებული შრომით ეხმარებიან გმირულ წითელ არმიას ვერაგი მტრის განადგურების დაჩქარებაში. ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ორდენოსანი მუშა ტატიანა ცინცაძე ჩაის კრეფის დღიურ ნორმას 705,4 პროცენტით ასრულებს, ფაცია დოლიძე—743,7 პროცენტით, მარიამ სოროკოვა დღეში ორმოც კილოგრამს ჰკრეფს, დღიურ ნორმას 312,5 პროცენტით ასრულებს, ლიდა ბორდაში—275, ქსენია ტყეშელაშვილი—263,2, კლავდია ეროშოვა — 256,2, კლავდია მატეენკო — 275,6, ანა გარბუზი—268,7, ზინაიდა გარკუნი — 247,6, ანისია სავინა—236,7 პროცენტით.

სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მუშა მიკა პაპაიანიდი ჩაის კრეფის დღიურ დავალებას 232,5 პროცენტით ასრულებს, ეკატერინე სარჯველაძე—201,5, ქსენია ბორისოვსკაია—209,3 პროცენტით.

დიდიჯიხის საბჭოთა მეურნეობიდან პოლია დოროშენკო გამომუშავების ნორმას 258,6 პროცენტით ასრულებს, ფედოსია ფილიპენკო—280,6, რაისა ჩეპილოვა—213,6, პოლია აგაფონოვა კი 219,4 პროცენტით.

თეკლე დიდენკო (წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა) ჩაის კრეფის დღიურ ნორმას სამმაგად ასრულებს, ანა ტიტოვა—371,4, ოლღა ბენი—285,7, მარიამ კაგანიუკი—257,1 პროცენტით.

ინგირის საბჭოთა მეურნეობის ჩაის მკრეფავი მარიამ კუზმენკო ჩაის კრეფის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს, ანა ოჩერეტიანი—209,3, ეკატერინე სემენცოვა—232,5, პოლია კოვალევა—317,7, ანა მოსკვიტინა—248, მატრონა კრივცოვა—240,3 პროცენტით.

ნინა ნარიჟნიაკი (ლაითურის საბჭოთა მეურნეობა) ყოველდღიურად 60 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს, ნორმას 405,4 პროცენტით ასრულებს, მარიამ გოპილიუკი—295,9, ვერა რუდიუკი — 320,2, ფრიდა პოპი—236,4 პროცენტით.

დიდი სამამულო ომის დღეებში მრავლდება ორასოვანთა რიგები საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებში.

ფართო გზა ორასოვანთა მოძრაობას

ორასოვანი კომკავშირელები

მაღალი საწარმოო აქტივობით, დაუღალავი, თავდადებული მუშაობით ხასიათდება საბჭოთა ახალგაზრდობის მთელი საქმიანობა სამამულო ომის დღეებში. კომკავშირელები, კავშირგარეშე ახალგაზრდები ყველაფერს აკეთებენ, თავიანთ ძალღონეს არ ზოგავენ მიცემულ დავალებათა დროზე, გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციას შეუძლია იამაყოს თავისი კომკავშირელებით. მრავალი მათგანი შრომითი გმირობის ბრწყინვალე მაგალითებს იძლევა. კომკავშირელმა ხარატმა ილია ჭუმბურიძემ თავისი ნაყოფიერი მუშაობით სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მთელს ქარხანაში. მას ყველა იცნობს, როგორც თავისი საქმის ჩინებულ მცოდნეს, ენერგიულ, დაუღალავ მუშას. იგი გეგმას ყოველთვის 300-400 პროცენტით ასრულებს, ხოლო უკანასკნელად, აგვისტოში მან საწარმოო დავალება 620 პროცენტით გაანაღდა. ორასი, სამასი და ოთხასი პროცენტით ასრულებენ გეგმებს აგრეთვე კომკავშირელები—მრანდავი გიორგი აფხაზიშვილი, ამწყობი რაჟდენ მურღულია, ხარატი პავლე ბატონისაშვილი და სხვები.

მაგრამ მოწინავე აქტივისტი კომკავშირელები ახლა იმით როდი კმაყოფილდებიან, რომ თვითონ ასრულებენ გეგმებს ორასი, სამასი პროცენტით და კიდევ მეტი გადაჭარბებით, არამედ იბრძვიან იმისათვის, რომ მთელი ბრიგადა, საამქრო იყოს ორასოვანი და სამასოვანი. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა საამწყობო საამქროს კომორგი ამხ. შ. ცხვედაძე. იგი ამავე დროს აღნიშნული საამქროს ერთ-ერთი ბრიგადის ბრიგადირიცაა. მისი ბრიგადა გეგმას ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს. აგვისტოში მან საწარმოო დავალება 450 პროცენტით გაანაღდა. ამ ბრიგადაში ახლა ყველა სამასოვანი და ოთხასოვანია. ცხვედაძე სისტემატურად ეხმარება თავისი ბრიგადის წევრებს ტექნოლოგიური პროცესის დაუფლებაში. კომკავშირელი რაჟდენ მურღულია პირველად ჩამორჩებოდა საწარმოო გეგმის შესრულებაში, მაგრამ მას თვითონ ცხვედაძე მიეშველა, კარგად შეასწავლა წარმოების პროცესები და ახლა მურღულია ერთ-ერთი საუკეთესო მუშაა, იგი გეგმას 400-450 პროცენტით ასრულებს. ასეთი მაგალითი აქ ერთი და ორი როდია.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მუშაობა ახალგაზრდა ორასოვანთა რიგების შემდგომი ზრდისათვის, მიაღწიოს იმას, რომ ყველა კომკავშირელი, ყველა კავშირგარეშე ახალგაზრდა გეგმას ასრულებდეს ორასი, სამასი პროცენტით.

სწრაფად იზრდება ორასოვანთა რიგები

ბათუმი („კომუნისტის" სპეც. კორ.). ლ. პ. ბერიას სახელობის ბათუმის მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივი სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებული წარმატებით იბრძვის მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. ქარხნის მექანიკურ საამქროში (საამქროს უფროსი ინჟინერი შ. კოტია) ომამდელთან შედარებით სტახანოველთა რიცხვი 25 პროცენტით გაიზარდა. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ორასოვანთა მიმართვის პასუხად მექანიკური საამქროს მუშაკთა ნახევარი უკვე სტახანოველია. საამქრომ როგორც ივლისის, ისე აგვისტოს გეგმები 150 პროცენტით შეასრულა, სექტემბერში კი მარტო 25 დღეში დავალება 160-მდე პროცენტით იქნა განაღდებული. ამ საამქროში ზეინკალ მ. კარაკოზოვის ბრიგადა ორასოვანია. ბრიგადაში განსაკუთრებული მონდომებით მუშაობენ ხარატები: კოპლანიანი, ეიტენკო, სემიანცევი, შილონი, ბალასოვი და სხვ. საამქროს სტახანოველი ოსტატი ს. ტეირანი თავის ცვლაში მუშაობის დამთავრების შემდეგ ქარხანაში რჩება, სახარატო დავალებებზე მუშაობს და გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. ომში წასულები შესცვალეს და დავალებებს ორმაგად ასრულებენ ქალები: მიტიაკინა, ზენაიშვილი, გრიგორიადი, სტულნიკოვა და სხვ., სულ 15 ქალი.

ქარხნის მეექვსე საამქრო, რომელსაც ე. გრიგორიანი ხელმძღვანელობს, მხოლოდ წელს მაისში მოეწყო. მიუხედავად ამისა, საამქროში ყველა მუშა უკვე სტახანოველია, ხოლო მათ შორის 70 პროცენტი დავალებებს 200 და მეტი პროცენტით ასრულებს. შემდუღებელმა მარო სიტაიამ აგვისტოს დავალება 430 პროცენტით გაანაღდა. იგი ასეთივე წარმატებით მუშაობს სექტემბერშიაც. მეექვსე საამქროში ახლად მიღებული მუშები პაშა სავჩენკო, ნადია მასალოვა, 55 წლის იადოკია მილიშკო, რომელსაც 2 შვილი წითელ არმიაში ჰყავს, და შურა ბახმაცკაია 260-300 პროცენტით ასრულებენ გეგმებს.

შემდუღებელი ვ. გალუსტოვი ქარხანაში ახლა ცნობილია როგორც დავალებათა 300-400 პროცენტით შემსრულებელი. ამავე დროს მის მიერ აღზრდილი ა. კარაბაში გეგმებს ასრულებს 200 პროცენტით, მ. კურჩანიანი—300-400 პროცენტით, ხოლო ალექსანდრა სტოლეტოვა და შურა კოსოვა სწავლას ამთავრებენ და 1 ოქტომბრიდან შეუდგებიან დამოუკიდებლად მუშაობას. ქარხანაში ასევე წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს და ხელს უწყობს კადრების მომზადებას ელექტროშემდუღებელი სტ. გრიშნევსკი და მრავალი სხვ. მთლიანად ქარხანა დავალებებს ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს.

ენგურკომბინატის მოწინავენი

ზუგდიდი („კომუნისტის" სპეც. კორ.). საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ენგურის ქაღალდკომბინატის მუშათა კოლექტივმა კიდევ უფრო განამტკიცა შრომის დისციპლინა, ამაღლა შრომის ნაყოფიერება. მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი ერთიორად ასრულებს საწარმოო დავალებებს. ორასოვანთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ამ მოძრაობას აქ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის ორასოვანთა მიმართვამ, რომელიც კომბინატის ყოველ საამქროში გულდასმით განიხილეს. ამ მიმართვას აქ საქმით გამოეხმაურნენ.

200-230 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ საწარმოო დავალებას ამხ. ოტო არომა. იგი წამყვანი პროფესიის მუშაა, მხარშავი. ამხ. ოტო ფინელია და ზიზღით არის გამსჭვალული მანერჰაიმელთა ხროვისადმი, რომელმაც ფინეთი დაღუპვის კარამდე მიიყვანა. ოტო დაინტერესებულია ჩვენი გამარჯვებით, ამიტომაც ჩადგა ორასოვანთა რიგებში, ამიტომ მუშაობს თავდადებით და კეთილსინდისიერად.

ამხ. ბ. ჩაჩუამ აგვისტოს საწარმოო დავალება 225 პროცენტით შეასრულა, სექტემბერშიც კარგი მაჩვენებელი აქვს. მან საუცხოოდ აითვისა თავისი დარგის რთული პროცესები. ზეინკალი ამხ. ს. ნიკულინი 200-210 პროცენტით ასრულებს საწარმოო გეგმას. განსაკუთრებით ისახელეს თავი ხარატებმა—ივანე ივანოვმა და ლეონიდ პეტროვმა. ისინი საწარმოო დავალებებს 240-300 პროცენტით ასრულებენ. მათი ნახელავი ყოველთვის მაღალხარისხოვანია. ასევე საუცხოოდ მუშაობენ ზეინკალი დ. კურზინი, მტვირთავი ი. ჭკადუა და სხვ.

ორასოვანი ბრიგადებიც ჰყავს ენგურის ქაღალდკომბინატს. მათ შორის ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს მერემონტეთა ბრიგადას, რომელსაც ამხ. ხ. ფარცვანია ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ აგვისტოს საწარმოო გეგმა 243 პროცენტით შეასრულა, სექტემბერშიც საუცხოოდ მუშაობს.

კომბინატში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც დაუღალავად იბრძვიან საწარმოო მაჩვენებლების ამაღლებისათვის და ხვალ თუ ზეგ ორასოვანთა რიგებში ჩადგებიან. ამხ. ელისაბედ ციცილინა, რომლის ქმარი წითელ არმიაშია გაწვეული, ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 150-170 პროცენტით ასრულებს, მხარშავი ალ. შენგელია—160-180 პროცენტით, მხარშავი მ. თოდუა—180-190 პროცენტით. ამ ამხანაგებს და ყველა იმათ, ვინც დაინტერესებულია ორასოვანთა რიგებში ჩადგომით, ყოველმხრივ ეხმარებიან კომბინატის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, კომბინატის სამეურნეო ხელმძღვანელობა.

საწარმოო დავალებებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ

თბილისის ლითონების კონსტრუქციის ქარხნის მუშაკთა შორის ხშირად გაიგონებთ: „სამამულო ომის დღეებში ჩვენი საბრძოლო ამოცანაა გავამრავლოთ ორასოვანთა რიგები, ვიშრომოთ ისე, რომ გეგმები შევასრულოთ ორმაგად, სამმაგად და მეტად".

მართლაც, აქ ელექტროშემდუღებელი ს. ბულდიგენი ყოველთვიურად დავალებას 200-230 პროცენტით ასრულებს. კერძოდ, აგვისტოში მან გეგმა შეასრულა 209,8 პროცენტით. ამავე დროს მისი ნამუშევარი პირველი ხარისხისაა. ალ. პაპავაძემ დავალება გაანაღდა 227 პროცენტით, დ. ოთარაშვილმა—224, ს. შმიდტმა—250, გ. გვიმრაძემ—231, მ. ტოტასაშვილმა— ?00 პროცენტით. ახლაც ისინი ყოველდღიურად ახალ წარმატებებს აღწევენ.

სადაზგო საამქროს მუშები ნ. ტკაჩოვი, ი. რენეზოვი, ვ. ჩეჩელაშვილი, ვ. ხომასურიძე და სონღულაშვილი ნორმებს სისტემატურად ასრულებენ 210-265 პროცენტით.

ქარხნის სამონტაჟო საამქროს მუშაკთა 60 პროცენტი, მათ შორის ალ. ყიფიანი, ალ. გუდინოვი, ვ. ზემლედინოვი და სხვ. გეგმებს 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებენ.

დიდ წარმატებებს აღწევენ აგრეთვე მექანიკურ საამქროში. მჭედლები ვ. შმიდტი და გ. ვეიკუმი ნორმებს ასრულებენ 250-287 პროცენტით, ყრომსცემლები თაური, ბერძენიშვილი და სხვები კი—200-290 პროცენტით. ელექტროშემდუღებელმა ი. ამირანაშვილმა ქარხანაში მხოლოდ აგვისტოში დაიწყო მუშაობა. მიუხედავად ამისა, თვიური დავალება 215 პროცენტით შეასრულა და ახლაც წარმატებით მუშაობს. საერთოდ, მუშები სწრაფად ეუფლებიან პროფესიებს, დიდად აჭარბებენ გეგმებს. შეუჩერებლად იზრდება ორასოვანთა რიგები.

26 კომისრის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ყრომსცემელი ამხ. სიმონ თელაძე, რომელიც გეგმას 400 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ი. ჩხარტიშვილისა

წითელარმიაში გაწვეული ქმრის ნაცვლად დიასახლისი დ. ბეროშვილი დადგა თბილისის ტრამვაის მექანიკურ საამქროში დაზგასთან და დავალებას 150 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის საგამომჭრელო საამქროს ორასოვანი სტახანოველი — გამომჭრელი ამხ. ალექსი პოპოვი, რომელიც გეგმას 225 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

ისინი პასუხს აგებენ

ჰიტლერის არმიის ორგანო „მილიტერიშე კორესპონდენცი" სწერს, რომ საბჭოთა რუსეთი არ ასრულებს ჟენევის კონვენციას ტყვეების შესახებ. ჯალათები თავს ჰუმანისტებად გვაჩვენებენ. მხეცები კაცთმოყვარეობაზე ლაპარაკობენ.

ახლა ჩვენ ვიცით, რას უშვრებიან ჰიტლერელები ტყვეებს და მათ მიერ დაპყრობილი ოლქების სამოქალაქო მოსახლეობას. ჩვენ ვიმოწმებთ არა მსხვერპლთა ჩვენებას, არა მნახველთა სიტყვებს, არა, ჩვენ მთელი მსოფლიოს წინაშე გამოგვაქვს თვით მკვლელთა აღიარება, რაც მათ გაკეთებული აქვთ არა ტყვეობაში, არამედ თავისუფლად ყოფნის დროს: გერმანიის სარდლობის ბრძანებანი და გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების დღიურები.

გერმანელები ტყვეებს ხოცავენ. აი გერმანიის მე-3 ქვეითი დივიზიის სარდლის ბრძანება. მას აზის ლიტერები AZ_2 და დათარიღებულია 1941 წლის 7 ივლისით.

„არაფერთხელ იყო შენიშნული, რომ დანებებულ რუს ჯარისკაცებს მათი ტყვედ წამოყვანის შემდეგ ან ზურგში მათი გაგზავნის დროს **ჩვენი ჯარები ხვრეტდნენ**".

მე-40 ქვეითი პოლკის მე-4 ბატალიონის საველე ფოსტა 01797, უფროს ეფრეიტორ ი. რიხტერის დღიურში ვპოულობთ შემდეგ ჩანაწერს 1 ივლისის თარიღით:

„60 ტყვე დავხვრიტეთ შტაბთან".

მე-735 დივიზიონის (რეიხენაუს მე-3 საარმიო კორპუსი) უნტეროფიცერმა ჰანს იურგენ სიმონმა თავის დღიურში 7 აგვისტოს ჩაწერა:

„პოფმა მიამბო შემთხვევა **თავში დაჭრილი** ერთი **რუსის** შესახებ, რომელიც ბრძანების თანახმად უნდა **მოეკლათ**. ჯარისკაცმა, რომელსაც ებრძანა ტყვის მოკვლა, რუსი მიიყვანა თავის ამხანაგებთან **და გადასცა მათ დავალება**, თან ამტკიცებდა, ჩემი რევოლვერი არა მუშაობსო. პოფი ფიქრობს, რომ ამ ჯარისკაცმა ძალა ვერ დაატანა თავის თავს და ვერ მოკლა უიარაღო დაჭრილი".

გერმანელები ტყვეებს აწამებენ. ეფრეიტორი ცოპელი ვისბადენიდან, საველე ფოსტა 22408 ვ, სწერს თავის დღიურში:

„25 ივლისი. ბნელი, უვარსკვლავო ღამეა. **ღამით ვაწამებთ რუსებს**".

გერმანელები ახრჩობენ რუსებს. აი გერმანიის მე-123 ქვეითი დივიზიის მეთაურის 1941 წლის 16 აგვისტოს ბრძანება:

„გირჩევთ მიმართოთ სასჯელის უმკაცრეს ზომებს, მაგალითად: **ჩამოხრჩობილები დაკიდებული დასტოვეთ მოედნებზე** ყველას სანახავად. ამის შესახებ აუწყეთ სამოქალაქო მოსახლეობას. სახრჩობელებზე უნდა იყოს წარწერები რუსულ ენაზე დაახლოებით ასეთი ტექსტით: „ჩამოხრჩობილია ესა და ეს ამისა და ამისათვის".

ამას ჩვენ კი არ ვლაპარაკობთ გერმანელებზე. ისინი ლაპარაკობენ თავის თავზე. ისინი თვითონასწერენ თავიანთ ბოროტმოქმედებებს — აკურატულად, პედანტურად. ამასთან ლაპარაკია არა ცალკეულ სადისტთა მახინჯ მიდრეკილებებზე, არა, ეს სახელმწიფოებრივი სისტემაა. ისინი ტყვეებს ხვრეტენ არა ბლინდაჟებში, არამედ შტაბთან. ისინი ახრჩობენ ინსტრუქციის თანახმად. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთმა გერმანელმა ჯარისკაცმა ვერ შესძლო დაჭრილი წითელარმიელის მოკვლა. გერმანელ ჯარისკაცში, რომელსაც ეშინოდა მხეცი მეთაურის ბრძანების შეუსრულებლობისა და იმავე დროს ეშინოდა მისი შესრულებლობისაც, ჯერ კიდევ ფართხალებდა სინდისის ნატამალი. მაგრამ ადამიანური არაფერია ჰიტლერელ ოფიცერთა გულში: ისინი მხეცები არიან. და ისინი ბედავენ ლაპარაკს „ტყვეებისადმი რუსების მხეცურ მოპყრობაზე"! ბავშვთა მკვლელები, მოძალადეები, ჩამომხრჩობლები კეთილშობილ რაინდთა პოზაში დგებიან. საზიზღარი სანახაობაა!

ჩვენ ვიცით, რომ ჰიტლერმა ჩვენს ქვეყანას მოუსია უსინდისოთა. ბილწთა ურდო, ჯალათ ჰიმლერის მოწაფეები. ათას გერმანელ ჯარისკაცში შეიძლება მოიძებნოს ერთი, რომელიც შეკრთება, დაჭრილის მოკვლის შესახებ ბრძანებას რომ გაიგონებს. ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე ჩვენ საშინელ დოკუმენტებს ვდებთ,—ეს არის ანგარიში დატანჯული და წამებული ადამიანების სისხლისათვის. რიგითი მკვლელებიდან ბევრმა უკვე ჰპოვა თავისი სიკვდილი: ისინი მოკლულ იქნენ ბრძოლაში. ეფრეიტორ რიხტერის დღიური ტყვიით არის გახვრეტილი. ორმოცდაათი ქალისა და ბავშვის მკვლელის ფუქსის დღიური სისხლით არის მოსვრილი—ფუქსი ტყვიით იქნა მოკლული იერიშის დროს.

მაგრამ მხეცობათა მოთავეები ზურგში იმალებიან. მიწაზე დადის სახრჩობელების შესახებ ბრძანების ავტორი, მე-123 დივიზიის მეთაური. მიწაზე დადიან რეიხსკანცლერი ჰიტლერი, ჯალათი ჰიმლერი და ჰიტლერელი გენერლები. მათ არ ეშინიათ ტყვეებისა, მათ სწამთ ძველი სიბრძნე: „გენერლები თავიანთ ლოგინში კვდებიან". დადგება დღე, როდესაც ტიტულიან მკვლელებს საბრალდებულო სკამზე დასხამენ. ევროპის ათი სახელმწიფოს საზოგადოებრივი ბრალმდებლები ჩამოსთვლიან ჰიტლერელთა არმიის ბოროტმოქმედებებს. მაშინ ჩვენ არ ვიტყვით: „მათ დაარღვიეს ჟენევის კონვენცია"—განა შეიძლება ლაპარაკი კონვენციებზე, როდესაც შენს წინაშე მხეცები არიან? ჩვენ ერთს ვიტყვით: „მათ მილიონობით აღზარდეს მხეცისმაგვარი არსებანი, შეაიარაღეს ისინი ტანკებითა და ავტომატებით და ჩვენს ხალხს მოუსიეს". მაშინ ჰიტლერი და მისი გენერლები პასუხს აგებენ ყველაფრისათვის — დახოცილი ბავშვებისა და ნაწამები ტყვეებისათვის, მთელი სისხლისა და მთელი ცრემლებისათვის.

ილია ერენბურგი

(„იზვესტია", 20/IX).

ფიქტორ ზაგაშჯირია

საბჭოთა მზვერავი

სადღაც პატრუქი ჩუმად ენთება,
მზვერავი მაინც ბუჩქთან ზის მშვიდი;
რა სიჩუმეა! ტყეში თენდება,
სადღაც გალობა გაისმა ჩიტის.

აი, ბუჩქი-ბუჩქს რომ გადაბმულა
მოსჩანან ისე თითქოს კრთებიან.
ტყის ყვავილებიც განაბულან და
მზვერავს სიფრთხილით აკვირდებიან.

აკვირდებიან სტუმარს ფარულად,
მაგრამ შემდეგ კი კვლავ აყვნენ ნიავს;
იცნეს მზვერავი და სიხარულით
უთხრეს ერთმანეთს: „ჩვენიანია!"

ბაღი

მინდორს ღრუბლები შავათ უვლიან,
მოღუშულია აქ ზეცის თაღი.
მტრისგან თელილი, დარბეულია
ლამაზი ბაღი.
აქ ფერს ყვავილიც ვერ ინარჩუნებს,
იგრძნობ ბალახსაც რომ გული წყდება.
მხოლოდ მახლობლად წყარო
ჩურჩულებს:
„კვლავ აყვავდება!"

შესვენება

ბრძოლების შემდეგ შეჩერდა რაზმი,
შეჩერდა ტანკიც, — ეს რკინის დევი
ხედავენ, მათ წინ მოსჩანს გორაკზე
ციხის ნანგრევი.

აქ შეისვენეს. მოყვარე იცნეს.
მდუმარებს ციხის ბჭენი, კარები.
როცა დაღამდა ძილს თავი მისცეს
შაშხანით, ტყვიით, ხელყუმბარებით.

ეძინა ღამით ძველს ადგილს სპათა,
დამკვიდრდა შუქი მიწიდან ცამდე.
მხოლოდ აჩრდილნი მამა-პაპათა
მათ თავს ადგნენ და ჩუმათ
ლოცავდნენ.

ლიდია მეგრელიძე

ქართველ გმირ მფრინავებს

თქვენმა ჭირიმე ბიჭებო,
დაზრდილხართ მხარეს გმირები,
რკალივით გამობრძმედილნი,
სალაშქროდ გამოწრთვნილები.

დაზრდილხართ მხარეს საქები
შამილ ვაჟიშვილები,
ბრძოლებში განთქმულ პაპების
ნამდვილი შვილისშვილები

ცა ქუდათ ჩამოგიხურავთ,
ზღვა სათარეშოდ გაგხსნიათ,
არწივნო სტალინისანო,
ფოლადის ფრთები დაგსხმიათ.

დაჰკარით მტარვალთ, დალეწეთ
ჰაგ მადლიანი ხელებით,
დასჭექეთ, დაატრიალეთ
საბჭოთა ყუმბარმშენები

გადაიქროლეთ კამარა
ვარსკვლავებ ანაკვესები...
ხალხმა ასწლობით იკმაროს
თქვენზე ნათქვამი ლექსები.

ალეკო შენგელია

დედა

საღამოთი მინდვრებიდან
მოდის ნელი სურნელი,
ეზოებში ირხევიან
გოგონების ლანდები, —
გიგონებენ, გახსენებენ
თრთოლვითა და სურვილით, —
ვარდისფერი გათენება
სიმღერებით ღამდება...
ცაზე ჩუმათ აყვავდება
ვარსკვლავების კრებული,
დაბინდული ხეობები
ჩრდილით შეიმოსება,
მწვერვალებზე აენთება
მთვარე გაღიმებული, —
ღამის თეთრი მოგზაური,
ღამის ჩუმი ოცნება..
ნიავს მოაქვს ნისლიანი
სიცივე და დუმილი...
გვიან ღამით მიწყნარდება
წყაროს წყალის წრიალიც,
სადღაც ფოთლებს შენაშფოთებს,
დედაშენის გულივით
უცაბედი მოგონება
შეძრავს, შეაწრიალებს.
მაღლა სხვენზე დამყუდრებულს
აკვანს სძინავს უწმინდესს, —
იმ შენს პირველ გაღიმებას,
იმ შენს პირველ ცრემლებსა,
ვილაც მღერის იავნანას, —
ჩემს სიმღერას უწინდელს:
— გაზრდილიყავ, რომ მახვილი
მტრების სისხლში გლესა!...
შვილო, მამის შავი ჩოხა,
დაცხრილული ტყვიებით,
კიდობნიდან შავ ღამეში
შავად გაიელვებს,
წინაპრები დაცემულან
მტრებზე შურისძიებით,
გამარჯვებად მიგიძღოდეს
მათი ძვლების ჩხრიალი...
გათენებას მოაქვს ჩემთვის
მოლოდინი მარადი,
შვილო, იქნებ გამახარო
შენი საქმით გმირულით,
მინდა შენგან მომივიდეს
გამარჯვების ბარათი,
თორემ ისე ბევრი ვიცი
მტერი გულგანგმირული..
მაშინ, ჩემო ნატვრის თვალო.
შენს გოგონებს შავთვალებს
მოწკრიალე სიმღერებში
კვალად მოაგონდები,
მათ მივანდობ შენზე ფიქრებს
სანატრელს და საყვარელს;
მხოლოდ წუთით, მხოლოდ წუთით
დაგიშორიშორდები.
დიად სურათს ღირსეულად
თვალში ჩავაჩერდები,
გამიცინებს ბრძენთა ბრძენი
ანთებული თვალებით, —
მეტყვის: აი, მე ვამაყობ
თქვენისთანა დედებით, —
გმირულ მამებს გმირებს უზრდის
საბჭოეთის ქალები...
მაშინ, მაშინ ჩემო ბავშვო,
ძუძუ ამითრთოლდება,
სხვენზე ავალ წმინდა აკვანს
წუთით გამოვაღვიძებ,
მამაშენიც იმ საფლავში
ამბავს რომ ელოდება,
შორიდანვე მიუხვდება
დედის ამაყ ნაბიჯებს.

პატარა ფელეტონი

რა აშინებს მარშალ პეტენს?

„ვიშის მთავრობამ გერმანიას გადასცა დაკარი. ამ ვერაგულ აქტს პეტენი უმალავს ხალხს".
დეპეშებიდან

ბებერ მარშალს, ფილიპ პეტენს უკანკალებს ხელები,
დასცქერს რუკას, სთვლის ქალაქებს, ქოშინით და ხველებით.
ლამბაქივით ამორეცხილ თვალთა უპის სიღრმიდან,
ბჟუტავს შუქი, მოყოლილი შორეული სიყრმიდან.
პოზას იცვლის... ხან მჭკნარ შუბლზე დარჩენილ თმებს ალაგებს,
ხან დასცქერის კვლავ რუკას და თვალს აყოლებს ქალაქებს.
აი, მცირე პაუზა და, თავი დაბლა დაზიდა,
— „O, mon Paris!" *) შეღაღადა, დაძველილი ბასითა, —
— დრო იყო და შენს კალთაზე, ჩემს ბებერ ძვლებს ვათბობდი,
კაფეებში ვსადილობდი, შანტანებში ვავხშმობდი.
მას შემდეგ კი, რაც გაგყიდე, გულო საფრანგეთისა,
მე შენს კარზე არვინ მიშვებს, სხვა პატრონი გეთვისა".

* * *

ამ სიტყვებზე ბებერ მარშალს გულისცემამ უმატა—
და ლუღლუღით სინანული წამოიწყო ჩუმათა:
— „ღმერთო ჩემო, რა წამომცდა? გონება მეყინება, —
ფიურერმა რომ გამიგოს, ხომ ძლიერ ეწყინება?
გამოდის, რომ თითქოს ვნანობ საფრანგეთის გაყიდვას,
„მადამ რესპუბლიკის" გულზე შავ სვასტიკის დაკიდვას.
ვითომ რატომ? ახალ წესრიგს განა არ გვთხოვს გულით?
განა ალებ-მიცემობა ჩვენში აკრძალულია?
მე ხომ წვრილად არა ვვაჭრობ, რომ შემწამონ ლაჩრობა?
არა, მარშალ ფილიპ პეტენს გვსურს ბითუმად ვაჭრობა,
გაუმარჯოს კომერციას, შორს აჩრდილი შიშისა,
დე იცოდნენ: საფრანგეთით ვაჭრობს ფირმა ვიშისა".

* * *

მაგრამ უცბად ბებერ მარშალს ელდამ დაჰკრა თავიდან
და ტვინიდან შიშის ჟრჟოლა, მის ფრჩხილებში გავიდა:
ეს რა არის, იდუმალი, რატომ თავს არ ანებებს,
„ფიურერის" ლაქიას და საფრანგეთის „მბრძანებელს"?
რა შიშია, სიღრმიდან რომ მოაქვს რისხვას უჩინარს,
ვისი ხმაა — ქუხილივით რომ იჭრება ქუჩიდან:
—„ფრანგო ხალხო, შენი ბედით,
შენი სისხლით ვაჭრობს ვიში, —
დაჰკარ მშობელ ქვეყნის გამცემს
ახახინე ვაი, ვიში".

* * *

ამ დროს კარი გაიღება, ოქრომკერდით გაფერილი
და ჰიტლერის მზარეული შედის მასთან, გაფხვერილი.
— „ფიურერი გიბრძანებს, რომ აულოკო ჩექმის ყური, —
ამას გარდა, შენ გქონია რომელიღაც ნავსადგური,
საიდანაც მოკლე გზები განშტოვდება ასერიგად,
რომ ჩვენ ძალგვიძს მივეპაროთ აფრიკას და ამერიკას"...
ბებერ მარშალს, ფილიპ პეტენს სახე უცბად უბრწყინდება
და მზარეულს აწყვეტინებს—ვით ლაქიას ევლება:
— „ო, ბატონო, ნუ სწუხდებით, მივხვდი, მივხვდი რასაც ბრძანებთ
სულ იაფათ, თან ნისიად ხვალვე დაკარს ჩაგაბარებთ.
ჩვენ ხომ წვრილად არა ვვაჭრობთ, რომ შეგვწამონ ლაჩრობა?
არა, მარშალ ფილიპ პეტენს—გვსურს ბითუმად ვაჭრობა,
თუ ინებებთ, მთელ საფრანგეთს თქვენზე ათჯერ გავყიდით,
თუ ლაქიის სველა ლუკმას გვაჭმევთ—როგორც დაგვპირდით".

* * *

გაისტუმრა მზარეული, კმაყოფილი ღიმილით,
მაგრამ მოხუცს კვლავ წელს რად სწყვეტს შიში და სიმძიმილი?
ეს რა არის, იდუმალი, რატომ თავს არ ანებებს,
„ფიურერის" ლაქიას და საფრანგეთის „მბრძანებელს"?
ეს ვინ არის—სიღრმიდან რომ ჰგზავნის რისხვას უჩინარს?
ვისი ხმაა—ქუხილივით რომ იჭრება ქუჩიდან:
— „გაიყიდა საფრანგეთი, იყიდება დაკარი,
ფრანგო ხალხო, შენს გამყიდველს,
ალსდექ, მაგრად დაჰკარი!
ვინც სამშობლოს უღალატა,
დაჰკარ, მოსპე მისი ჯიში,
ხალხო, შენი ქვეყნის გამცემს
ახახინე ვაი, ვიში!...

* * *

აი, თურმე მარშალ პეტენს
რა აფრთხობს და რის აქვს შიში...

გია ქალაური.

*) ო, ჩემო პარიზო.

დავუმზადოთ თბილი ტანსაცმელი წითელ არმიას

აფხაზეთის მშრომელები წითელარმიელებისთვის ამზადებენ თბილეულს

სოხუმი („კომუნისტის" კორ.). აფხაზეთის მშრომლები თბილ ტანსაცმელს უმზადებენ წითელარმიელებს. ქ. სოხუმის მუშათა მერვე უბნის დიასახლისები ამხ. ივანოვა, ფურცხვანიძე, ჩიჩუა, ალიხანოვა ამზადებენ ორ-ორ წყვილ თბილ წინდებს, მატყლის ქუდებს, თბილ პერანგებს. სოხუმის რაიონის სოფ. გულრიფშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოხუცმა ქალმა ე. მაგარიანმა, რომელსაც ორი შვილი წითელ არმიაში ჰყავს, მებრძოლებისათვის გასაგზავნად მატყლის წინდები მოქსოვა. გუდაუთის არტელ „წითელი საქართველოს" მუშა-ქალი ტესლიკოვა ამზადებს ბამბის ხუთ ქურთუკს და ხუთ წყვილ წინდას. წითელი მებრძოლებისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება მთელ აფხაზეთში წარმატებით მიმდინარეობს.

გ. მერკვილაძე

ქუთაისის მშრომელთა გამოხმაურება

ქალაქ ქუთაისის მშრომლები უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ახალ ინიციატივას—წითელარმიელთათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვებასა და გაგზავნას.

ც. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატში და სხვა საწარმოებში დაიწყო თბილი ტანსაცმლის შეგროვება. არჩეულია კომისიები, რომლებიც იბარებენ თბილ ტანსაცმელს ფრონტისათვის. აღსანიშნავია სამეანო-გინეკოლოგიური საავადმყოფოს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის ამხ. უ. ციბაძის მუშაობა თბილი ტანსაცმლის შეგროვების საქმეში. მედიცინის მუშაკების ცალკე ჯგუფებმა მოკლე დროის განმავლობაში შეაგროვეს 900 მანეთი. რითაც უკვე შეძენილია 50 ცალი ტანსაცმელი. ამ საქმისათვის ექიმმა ელ. ბეთანელმა შეიტანა 50 მანეთი, ექთანმა ციბაძემ — 40 მანეთი და ექთანმა ლორიამ—50 მანეთი. ამავე საავადმყოფოს თანამშრომლები გ. კვერნაძე და შ. ფხაკაძე წითელარმიელთათვის ჰქსოვენ წინდებს, ხოლო თ. ელბაქიძე ამზადებს თბილ საცვალს.

ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორმა უკვე მოამზადა 10 წყვილი წინდა და ამჟამად ამზადებს 2 თბილ საცვალს. შ. იაკობაშვილი ამზადებს 2 წყვილ საცვალს, ხოლო ეთერ იაკობაშვილი—თბილ ქურქს.

მთელს ქალაქში უდიდესი პატრიოტული აღმავლობით წარმოებს წითელარმიელებისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება და გაგზავნა.

შ. სადიკოვი

აგროვებენ თბილ ტანსაცმელს წითელი არმიისათვის

ფოთის მშრომლები დიდი ენტუზიაზმით აგროვებენ თბილ ტანსაცმელს წითელი მებრძოლებისათვის. წყალსადენის სამმართველოს ინჟინერმა ამხ. ვ. ლილიძემ, სამმართველოს უფროსმა გ. ბოლქვაძემ, პარტორგანიზაციის მდივანმა გ. კუხალეიშვილმა და პ. აბრამიამ კომისიას გადასცეს 6 წყვილი ქეჩის ჩექმა. ნავსადგურის პირველი საწარმოო რაიონის მუშაკებმა ამხ. გ. ქობალიამ და კაჩაროვსკიმ კომისიას გადასცეს თბილი ქურთუკი, 1 წყვილი თბილი საცვალი და ერთი პალტო.

ნავსადგურის სამმართველოს მუშაკმა ამხ. ი. მიქაძემ წითელარმიელებისათვის გასაგზავნად შეიტანა ბეწვის სარჩულიანი პალტო. მეზღვაურთა საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა შეაგროვეს ცხვირსახოცები, ყელსახვევები, საპონი, კონვერტები, ფანქრები და სხვ.

გ. საბაშვილი

5.000 მანეთის ტანსაცმელი

მშრომელთა ინიციატივამ წითელი არმიის გმირი მებრძოლებისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვებისა და გაგზავნის საქმეში ფართო გამოხმაურება ჰპოვა სტალინის სახელობის თბილისის ორთქმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს შორის.

ამხ. ნ. ოსიპოვმა (ინჟინერი) შეიტანა ქურქი და თბილი ქუდი, ამხ. ვ. სარიშვილმა (ქარხნის ტექნიკური დირექტორი) — ერთი წყვილი თეთრეული, ერთი წყვილი წინდა და სვიტერი, ამხ. ნ. ლუცენკომ (სტახანოველი მღარავი) — ერთი წყვილი თეთრეული, ლეიბის პირი და ერთი წყვილი წინდა.

კომისიის გამოანგარიშებით, დღემდე 5.000 მანეთის ღირებულების თბილი ტანისამოსია შეგროვილი. შეგროვება წარმატებით გრძელდება.

როგორ გავაუვნებლოთ მტრის ქიმიური იარაღი

ჰიტლერელთა სარდლობის საიდუმლო მასალები, რომლებიც ხელთ იგდო წითელმა არმიამ, უცილობლად ამტკიცებენ, რომ საზიზღარი მტერი ემზადება სსრ კავშირზე ქიმიური თავდასხმისათვის.

ფაშისტი ბარბაროსები არავითარ დანაშაულს არ ერიდებიან. შეიძლება მოველოდეთ, რომ ისინი გამოიყენებენ მომწამლავ ნივთიერებებს არა მარტო უშუალოდ ფრონტზე, არამედ ზურგშიც, სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხი ქიმიურ საშიშროებას უნდა შეხვდეს ორგანიზებულად და სავსებით შეიარაღებული. საჭიროა მტკიცედ ვიცოდეთ, რომ **არ არსებობს ისეთი მომწამლავი ნივთიერება, რომლის წინააღმდეგაც დაცვის საშუალება არ იყოს** და რომლით მოწამვლის დროსაც შეუძლებელი იყოს საქმიანი დახმარების აღმოჩენა.

1. მომწამლავ ნივთიერებათა ძირითადი თვისებანი

ფაშისტური სარდლობის ინსტრუქციაში გათვალისწინებულია მრავალი სახის მომწამლავ ნივთიერებათა გამოყენება, რომლებიც სხვადასხვანაირად მოქმედებენ ორგანიზმზე და აქვთ სხვადასხვა სიმყარე, ე. ი. უნარი თავის ტოქსიკურ (მომწამლავ) თვისებათა გამოვლინებისა განსაზღვრული ვადის განმავლობაში. არამყარი მომწამლავი ნივთიერებანი მალე აქროლდებიან და მხოლოდ მოკლე ხანს მოქმედებენ. მყარ მომწამლავ ნივთიერებებს კი შეუძლიათ გამოიწვიონ ხანგრძლივი დროით მოწამვლა, ვინაიდან მათი აქროლება ნელა ხდება.

მომწამლავ ნივთიერებათა მოქმედების ვადა დამოკიდებულია აგრეთვე გარეშე (მეტეოროლოგიურ და ტოპოგრაფიულ) პირობებზე და მომწამლავი ნივთიერების გამოყენების თვით წესზეც. ჰაერის მაღალი ტემპერატურა, ჰაერის ინტენსიური დინებანი ყოველთვის ამცირებენ მომწამლავი ნივთიერების საბრძოლო მოქმედების ხანგრძლივობას. მცირე მნიშვნელობა როდი აქვს აგრეთვე ადგილმდებარეობის ხასიათს, ნიადაგის მდგომარეობას (მის ფხვიერებას, სისველეს), მცენარეული საფარის სიხშირეს და სხვ.

მომწამლავ ნივთიერებათა დასახასიათებლად მათი ტოქსიკური თვისებების მიხედვით ავიღოთ მომწამლავ ნივთიერებათა ის ჯგუფები, რომელთა გამოყენებასაც უნდა მოველოდეთ ფაშისტი ყაჩაღებისაგან.

სულის შემხუთავი (ფოსგენური) მომწამლავი ნივთიერებანი ორგანიზმზე მოქმედებენ მხოლოდ სასუნთქი გზების მეშვეობით. სუფთა მდგომარეობაში მათ აშმორებული თივის, დამპალი ვაშლის სუნი აქვთ. მაგრამ ეს სუნი შეიძლება სხვანაირი გახდეს, თუ ფოსგენურ მომწამლავ ნივთიერებებს გამოიყენებენ სხვა მომწამლავ ნივთიერებებთან შერევით.

ფოსგენური მომწამლავი ნივთიერებანი აზიანებენ ფილტვებს, იწვევენ მათს შეშუპებას (სასუნთქი ღრუების ამოვსებას სითხით), გაზების ცვლის მკვეთრად დარღვევას და, როგორც ამის შედეგს, — დახრჩობას. ამ მომწამლავი ნივთიერებებით ორგანიზმის მოწამლვის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული მომწამლავ ნივთიერებათა რაოდენობაზე, რომლებსაც შესუნთქული ჰაერი შეიცავს, და მოწამლულ ატმოსფეროში ყოფნის ხანგრძლივობაზე.

აირწინაღი აბსოლუტურად საიმედო დამცავია სულის შემხუთავი გაზებისაგან.

საერთო შხამიანი მომწამლავი ნივთიერებანი ორგანიზმში იჭრებიან აგრეთვე უმთავრესად სასუნთქი გზებით. ამ ჯგუფის მხოლოდ ზოგიერთ მომწამლავ ნივთიერებას, მაგალითად, ციანის მჟავას, შეუძლია გამოიწვიოს მოწამვლა ლორწოვან გარსზე ან კუჭში (მოწამლული წყალი) მოხვედრისასაც. ციანის მჟავის სუნს ბევრი ამსგავსებს მწარე ნუშის სუნს; დარიშხანის წყალბადის სუნს ხშირად ნივრის სუნს ადარებენ. თუ ციანის მჟავა ჰაერში დიდი რაოდენობით არის, ეს იწვევს ორგანიზმში დაჟანგვითი პროცესების მკვეთრად შეწყვეტას და ცენტრალური ნერვული სისტემის დამბლას.

დარიშხანის წყალბადი სისხლის შხამია. იგი სასუნთქი გზებიდან შეაღწევს სისხლში და იწვევს სისხლის წითელი ბურთულების დაშლას.

აირწინაღი საიმედო დამცავი საშუალებაა საერთო შხამიანი მოქმედების მომწამლავ ნივთიერებათაგან.

დამაწყლულებელი მომწამლავი ნივთიერებანი — იპრიტი, ლუიზიტი (ამავე ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს ზოგიერთი არამყარი მომწამლავი ნივთიერება) — იწვევენ კანის, სასუნთქი გზებისა და ფილტვების, პირის, საჭმლის მილის, კუჭის ლორწოვანი გარსის, თვალების ანთებით დაზიანებას. სასუნთქ გზებზე ასეთი მომწამლავი ნივთიერებანი მოქმედებენ ორთქლებული სახით და ნისლის მდგომარეობაში. კანი ზიანდება უმთავრესად მაშინ, როცა მას ეცემა ამ მომწამლავ ნივთიერებათა წვეთები. კანის სუსტი დაზიანება იპრიტმა და ლუიზიტმა შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე ორთქლის ან ნისლის სახით. კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის დაზიანებას ჩვეულებრივად იწვევს ამ მომწამლავი ნივთიერებებით მოწამლული წყალი და ჰაერი. დამაწყლულებელი მომწამლავი ნივთიერებებით კანის დაზიანების დამახასიათებელი ნიშნებია მისი გაწითლება, ზედ ბუშტულებისა და წყლულების გაჩენა.

ამ ჯგუფის სხვა მომწამლავ ნივთიერებათაგან განსხვავებით, იპრიტისაგან მოწამლვა ერთბაშად როდი იჩენს თავს. არის მოქმედების ფარული პერიოდი — ორიდან რვა ან ათ საათამდე. ჩვეულებრივი ტანსაცმელი სუსტად იცავს კანს ამ მომწამლავ ნივთიერებათა მოქმედებისაგან, თუ ეს ნივთიერებები ადამიანს წვეთების სახით მოხვდა. ასეთ შემთხვევაში სრულიად სავალდებულოა კანისა და ტანისამოსის დეგაზაცია, ამასთან სწრაფი დეგაზაცია, რაც დაზიანებიდან პირველ 10-15 წუთშივე უნდა განხორციელდეს.

სუნით იპრიტი ბოლოკს და მდოგვს მოგვაგონებს. ლუიზიტს გერანის მსგავსი სუნი აქვს. აირწინაღი საიმედოდ იცავს სასუნთქ გზებსა და თვალებს ამ მომწამლავ ნივთიერებათა ორთქლის მოხვედრისაგან. დამაწყლულებელი ნივთიერებებით დაზიანებისაგან კანის დასაცავად იყენებენ სადეგაზაციო ნივთიერებებს.

კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის მოწამლვის თავიდან აცილება შეიძლება საკვები პროდუქტებისა და წყლის ქიმიური დაცვის საშუალებებით. წყლის მოწამლვისაგან იმით იცავენ, რომ წყალსაცავს აწყობენ ყოველი მხრიდან დაფარულს და რაც შეიძლება მჭიდროდ დახურულს. კერძოდ, ჭები კარგად უნდა დაიხუროს სქელი ფარებით. ქიმიური თავდასხმის შემდეგ წყლის სახმარად ვარგისობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სპეციალური გამოკვლევით ირკვევა. საკვებ პროდუქტებს იმით იცავენ, რომ ათავსებენ კარგად დახშულ, წყალგაუვალ ჭურჭელში (თუნუქის ქილებში), შეახვევენ ცელოფანში, მუშამბაში და სხვ.

გამაღიზიანებელი მომწამლავი ნივთიერებანი ორი ტიპისაა: თვალების მტკივნეულად გამაღიზიანებელი **(ცრემლმდენი მომწამლავი ნივთიერებანი)** და ზემოსასუნთქი გზების მტკივნეულად გამაღიზიანებელი **(ცხვირის მაცემინებელი მომწამლავი ნივთიერებანი)**.

ცრემლმდენი მომწამლავი ნივთიერებანი — მაგალითად, ქლორაცეტოფენონი, ბრომბენზილციანიდი, — ჰაერში ყოფნისას მყისვე და მეტად მტკივნეულად მოქმედებენ თვალებზე, იწვევენ ქუთუთოების შეწებებას და ცრემლის დენას. თვალების დაზიანება, რაც ფრიად მტკივნეულია, ჩვეულებრივად რამდენიმე საათში გაივლის ხოლმე, სრულიად უმტკივნეულოდაც კი. ცრემლმდენ მომწამლავ ნივთიერებათა მოქმედებისაგან მხედველობის გაუარესება არ ხდება.

ცხვირის მაცემინებელი მომწამლავი ნივთიერებანი, ჰაერში ყოფნისას (ჩვეულებრივად შხამიანი კვამლის სახით), მტკივნეულად მოქმედებენ ცხვირისა და სასუნთქი გზების ლორწოვან გარსზე და იწვევენ ცხვირის ცემინებას, ხველას, ტკივილებს მკერდში, ზოგჯერ კბილის ტკივილს, კუჭის ტკივილს, გულისრევას. მოწამლვის მიმდინარეობის ხანგრძლივობა რამდენიმე საათია. გართულებანი სასუნთქი გზების მხრით არ ხდება.

გამაღიზიანებელ მომწამლავ ნივთიერებათა მოქმედებისგანაც საიმედო დამცველ საშუალებას წარმოადგენს აირწინაღი.

პროფესორი ა. გინსბურგი
სტალინური პრემიის ლაურეატი, ბრიგინჟინერი, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი.

ა. შალაევი
1-ლი რანგის სამხედრო ექიმი, სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატი.

(გაგრძელება იქნება)

საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ სლავთა შორის

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსულ ენაზე გამომავალი გაზეთები იუწყებიან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სლავ მოსახლეობას შორის გაჩაღებულია სსრ კავშირთან სოლიდარობის მოძრაობა. გაზეთი „ნოვოე რუსკოე სლოვო" იტყობინება, რომ ერთერთი უდიდესი სლავური ორგანიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში — კარპატის უკრაინელთა კავშირი, რომელსაც მღვდელი სტეფანე ვარზალი მეთაურობს, — საქვეყნოდ აცხადებს თავის ერთგულებას სლავთა ერთიანობისადმი. „ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, — ნათქვამია განცხადებაში,—საბჭოთა კავშირის საბოლოო გამარჯვებაში".

გაზეთ „რუსკი გოლოსის" ცნობით, „ამერიკის სლავთა კონგრესმა", რომელიც 21-დან 23 ნოემბრამდე იწვევს ამერიკაში მცხოვრებ სლავთა ყრილობას, გამოაცხადა, რომ იგი სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირისა და ინგლისისადმი დახმარების პოლიტიკას. კონგრესი სლავებს მოუწოდებს გაერთიანდნენ ფაშისტური გერმანიის გასანადგურებლად.

უკრაინული გაზეთი „შჩოდენი ვისტი" სწერს, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ნიუ-იორკში გაიმართა ანტიფაშისტური მიტინგი, რომელსაც 700 უკრაინელი დაესწრო. მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია საბჭოთა კავშირისათვის, ინგლისისათვის და ჰიტლერის წინააღმდეგ მებრძოლ სხვა ქვეყნებისათვის სრული დახმარების აღმოჩენის პოლიტიკის მხარდაჭერის შესახებ. მიტინგის მონაწილეებმა დაადგინეს, მოაწყონ საბჭოთა კავშირისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. სსრ კავშირის დამხმარე ფონდისათვის შეგროვებულია 4 ათასი დოლარი. ასეთივე მიტინგი გაიმართა ჯერსი-სიტიში, სადაც სსრ კავშირის სამედიცინო დახმარების ფონდისათვის შეგროვებულია 1.000-ზე მეტი დოლარი.

კანონ-პროექტი ნეიტრალიტეტის კანონის გაუქმების შესახებ

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სენატორმა დემოკრატმა მაკკელემ (ტენესის შტატიდან) შეიტანა კანონ-პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ნეიტრალიტეტის კანონის გაუქმებას. ხსენებული კანონი ამერიკის გემებს უკრძალავს საომარი მოქმედების ზონებში შესვლას. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ გამოურკვეველია, რუზველტის თანხმობით არის თუ არა შემოტანილი კანონ-პროექტი. როგორც ვიცით, 23 სექტემბერს რუზველტმა მხარი დაუჭირა ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვას.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, მთავრობის ბევრი წარმომადგენელი რუზველტს ურჩევს კონგრესისაგან მოითხოვოს ნეიტრალიტეტის კანონის იმ მუხლების გაუქმება, რომლებიც ამერიკის გემებს უკრძალავენ შეომარ სახელმწიფოთა წყლებში შესვლას. ამ წინადადებას მხარს უჭერს, კერძოდ, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კონელი. სენატში რესპუბლიკელთა ლიდერის თანაშემწემ ოსტინმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს მოითხოვა ნეიტრალიტეტის კანონის სავსებით გაუქმება.

ამერიკის გაზეთების თვალსაჩინო ნაწილიც მოითხოვს ნეიტრალიტეტის კანონის სავსებით გაუქმებას. გაზეთები „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" და „ბალტიმორ სენი" აცხადებენ, ნეიტრალიტეტის კანონმა მოსჭამა დრო და ამერიკის უშიშროება მის გაუქმებას მოითხოვს. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" მთელი გვერდი მიეძღვნა განცხადებას, რომელსაც ხელს აწერდა ამერიკელთა საზოგადოების სხვადასხვა წრეების 1.100 წარმომადგენელი, მათ შორის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე. განცხადების ავტორები ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდებენ დაუყოვნებლივ გამოუცხადონ ომი გერმანიას. გაზეთში გამოქვეყნებულია რუზველტისადმი მიმართვის ტექსტი, სადაც ნათქვამია: „დარწმუნებული ვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ხალხი მჭიდროდ დაირაზმება თქვენს გარშემო, თუ თქვენ მოითხოვთ ომის გამოცხადებას და განმარტავთ, რატომ არის ეს ამჟამად აუცილებელი".

გერმანიაში შექმნილი მდგომარეობა

ბერნი, 26 სექტემბერი (საკდესი). გერმანიიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ იქ უდიდესი სასურსათო სიძნელეები და მოსახლეობის უკმაყოფილება მატულობს. გაზეთი „ბერლინერ ლოკალ-ანცაიგერი" იუწყება, კარტოფილი, რომელიც მოსახლეობას ბარათებით ეკუთვნის, სექტემბრის დამლევამდე არ გაიცემა. გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი" მოსახლეობას ურჩევს კარტოფილი „გაუფცქვნელი მოხარშეთ და გაუფცქვნელივე მიირთვითო".

22 სექტემბერს გერმანიაში ახალი სასურსათო ბარათები გასცეს ვადით 19 ოქტომბრამდე; ამ ბარათებით თვალსაჩინოდ შემცირებულია ერბო-კარაქის ნორმა. ყველის გაცემა გაუქმებულია. გაზეთ „ფრანკფურტერ ცაიტუნგის" სიტყვით, ერთი-ორად მცირდება აგრეთვე ვერმიშლისა და ბურღულის გაცემის ნორმა (250 გრამის ნაცვლად, 125 გრამი).

საშიშილო ულუფა ხელს უწყობს სპეკულაციისა და სასურსათო ბარათების ბოროტად გამოყენების ზრდას. ყალბი ბარათების გაკეთების შემთხვევის შესამცირებლად ხელისუფლება განსაკუთრებულ ნიშნებს უკეთებს ბარათებს. ამჟამად მთელს გერმანიაში მასობრივად აპატიმრებენ სურსათის სპეკულანტებს და მათ ასამართლებენ. ამას წინათ გაზეთებში გამოქვეყნდა კანონი, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს პროდუქტებით სპეკულაციისათვის. მიუხედავად ამისა, „ფარული ვაჭრობა" უფრო და უფრო ფართო მასშტაბს იღებს. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ბერლინში სამართალშია მიცემული ერთერთი შენობელი ფირმის მფლობელი, რომელმაც მუშათა ყალბი სიის შედგენით მოახერხა ზედმეტი ბარათების მიღება, ამ ბარათებით აღებულ ხორცსა და ერბო-კარაქს იგი ფარულად ჰყიდდა. ამასწინათ გაზეთი „ნახტაუსგაბე" იუწყებოდა ლაიპციგში გამართული ეგრეთწოდებული „მარგარინის პროცესის" ამბავს. სამართალში იყო მიცემული 350 კაცი, რომელნიც ცხიმეულის, კერძოდ, მარგარინის სპეკულაციას ეწეოდნენ.

სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა და მომარაგების სულ ახალ-ახალი შეზღუდვა დიდ უკმაყოფილებას იწვევს გერმანიაში. ამას უკვე აშკარად ლაპარაკობენ გერმანიის ხელმძღვანელ წრეებში. გაზეთ „ფელკიშერ ბეობახტერის" ცნობით, ხელმძღვანელ ნაცისტ მოღვაწეთა თათბირზე, რომელიც ამასწინათ ვენაში გაიმართა და რომელიც პროპაგანდის საკითხებს შეეხებოდა, ბევრმა ორატორმა პირდაპირ განაცხადა, მოსახლეობაში უკმაყოფილება მატულობს.

ფაშისტი ხელისუფალნი უფრო და უფრო აშინებენ მოსახლეობას. პრესა ყოველ დღე სავსეა გასამართლებისა და სიკვდილით დასჯის შესახები ცნობებით. ამას წინათ გაზეთმა „ნახტაუსგაბე" გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ჰანს კიშს, არტურ ჰელერს, ნიკოლაუს იოჰანს, ვილი ჰანისს, ფრიდრიხ შტელვაგს სიკვდილი მიესაჯათ იმისათვის, რომ მათ არაერთხელ დაარღვიეს შუქშენიღბვის წესები. გაზეთებში წარამარა ქვეყნდება იმ პირთა სია, რომელთაც სიკვდილი მიესაჯათ უცხოეთის რადიოგადაცემათა მოსმენისა და გავრცელებისათვის და სხვ.

ამ უკანასკნელ ხანს მთელ გერმანიაში გახშირდა საბოტაჟის აქტთა შემთხვევები. ნავმისადგომებისა და ვაგზლების საბარგო განყოფილებებში ხშირად აფეთქება ხდება, რისთვისაც გერმანიის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ პრესის საშუალებით გაეფრთხილებინათ მოსახლეობა ასეთი „მავნებლობის" შესახებ. გაზეთ „ნახტაუსგაბეს" ცნობით, ამასწინათ ბერლინში „გამოურკვეველი მიზეზით" ლერტის ვაგზალსა და ფრიდრიხშტრასეს ვაგზალს შორის მატარებელი ლიანდაგს ასცდა. 600 მეტრ მანძილზე ლიანდაგი გაფუჭებული იყო. ვაგზლებს შუა მდებარე ნაკვეთზე რკინიგზის ხაზი მთელი დღე-ღამე დახურული იყო.

კათოლიკური ეკლესიის დევნა პოლონეთში

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ქალაქ რომბერგში (პოლონეთი) ამ ქალაქის მოსახლეობისა და სამღვდელოების მტრული გამოსვლისათვის გერმანიის ხელისუფალთა წინააღმდეგ აკრძალულ იქნა გუნდები კოსტელებში და ყოველგვარი საეკლესიო კათოლიკური ორგანიზაცია.

მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული მომზადება სამამულო ომის პირობებში

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ განსახკომის ფიზიკური აღზრდის ინსპექციის უფროსმა ამხ. გ. მერკვილაძემ შემდეგი განაცხადა:

— დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით სკოლებში ტარდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. მათ შორის ერთერთი მთავარი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურულ და სამხედრო-სანიტარულ მომზადებას. ამჟამად სკოლებში ფიზიკური კულტურის სწავლების შინაარსი საფუძვლიანად გადახალისდა. ფიზიკური კულტურა შევიდა სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების მთლიან კომპლექსში. განსახკომის ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით მე-8-9-10 კლასებში ამ დისციპლინას დაეთმო დამატებით 50 საათი თითო კლასში, რაც ყოველმხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების დონის ამაღლებას.

მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების საქმეში სკოლებს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ. სახელოვან წითელ არმიას ჩვენ მივეცით შესანიშნავად მომზადებული, სამხედრო საქმეს დაუფლებული ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტები, რომლებიც ამჟამად მამაცურად იბრძვიან სამშობლოს დიდებისათვის. მაგრამ თანამედროვე ომის პირობები, არმიების მაღალი ტექნიკური აღჭურვილობა, ბრძოლის ახალი ტაქტიკა და სტრატეგია მებრძოლს მრავალ ახალ მოთხოვნას უყენებს. ამიტომ მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება, როგორც სამხედრო მომზადების ერთერთი მთავარი ნაწილი, ახალი პროგრამებისა და მეთოდების მიხედვით წარიმართება.

მთელი რიგი საბრძოლო ეპიზოდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამათუიმ საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის მებრძოლი უნდა იყოს დაუფლებული ხელჩართულ ბრძოლას, სნაიპერულ სროლას, ცურვას, ნაოსნობას, ხოხვას, სწრაფ და ხანგრძლივ რბენას, ხტომას, ხელყუმბარის ტყორცნას, მოტო-ველო საქმეს, თხილამურებსა და სპორტის მრავალ სხვა სამხედრო-გამოყენებითს სახეებს. ჩვენი ამოცანაა ამგვარად მომზადებული მეომრები მივცეთ მშობლიურ წითელ არმიას.

15 სექტემბრიდან დაიწყო მეცადინეობა განსახკომის სისტემაში მყოფ ბავშვთა 30 სასპორტო სკოლაში, რომელთა სხვადასხვა სექციებში ჩაბმულია 10.000 მოსწავლე. სასპორტო სკოლები უფროსი კლასის მოსწავლეებისაგან მოამზადებენ ფიზკულტურის მასწავლებლების თანაშემწეებს, რომლებიც თავიანთ სკოლებში მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევენ სამხედრო საქმისა და ფიზკულტურის მასწავლებლებს. სეზონის დამთავრებამდე იმუშავებს მცხეთის წყალსადგური, სადაც მოსწავლენი ეუფლებიან ცურვასა და ნიჩბოსნობას. აქვე ტარდება წითელი არმიის ახალწვეულთა მომზადება მდინარეთა გადალახვაში. ხშირად მასობრივად ჩავატარებთ დაბრკოლებათა ზოლის გადალახვას, ველზე გასვლას, გასამხედროებულ ლაშქრობებს, სამხედრო თამაშობებს და სხვ. მთიან რაიონებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამთო-სათხილამურო სპორტის შესწავლასა და დაუფლებას. საქართველოს ყველა რაიონში ახალი პროგრამების მიხედვით კადრების მომზადების მიზნით მოეწყობა სემინარები.

ამასთან უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს კადრების შერჩევის საკითხს. ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანაა განათლების ორგანოებთან ერთად შეარჩიონ ისეთი მომზადებული ფიზკულტურელები, რომლებსაც შეუძლიათ სკოლაში ახალი პროგრამით ასწავლონ, ხოლო ფიზკულტურის მასწავლებლები, რომლებიც სხვა სამუშაოზე მუშაობენ, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდნენ სკოლას. სკოლების დირექტორებს ევალებათ სკოლები უზრუნველყონ სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობისათვის საჭირო ინვენტარით, ურომლისოდაც შეუძლებელია ნორმალური და ნაყოფიერი მუშაობა.

საბჭოთა სკოლა სამშობლოს მისცემს ერთგულ, ჯანსაღ, კულტურულ და სამხედრო საქმეს საუკეთესოდ დაუფლებულ ახალგაზრდებს.

საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის შემადგენლობა

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ლონდონში გამოქვეყნდა გენერალ დე გოლის მიერ შექმნილი საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის შემადგენლობა. კომიტეტი შესდგება 9 წევრის ანუ კომისრისაგან, რომელთა შორის მოვალეობანი განაწილებულია შემდეგნაირად: კომიტეტის თავმჯდომარეა გენერალი დე გოლი, [illegible] პლევენი განაგებს ეკონომიურ, კოლონიურ და საფინანსო საქმეებს, ჟანი—საგარეო საქმეებს, გენერალი ქანტილომი—სამხედრო საქმეებს, ვიცე-ადმირალი მიუზელიე—სამხედრო და სავაჭრო ფლოტთა საქმეებს, პროფესორი კასენი—იუსტიციისა და სახალხო განათლების საქმეებს, დიეტელმი — შინაგან საქმეთა, შრომისა და ინფორმაციის საკითხებს, მაიორი კალენი—ავიაციის საქმეებს, კაპიტანი ტიერი დარჟანლიე — კომიტეტის უპორტფელო წევრია.

გარდა ამისა, დანიშნული არიან: შრომის საკითხთა დირექტორად—ოკი, ეკონომიურ საქმეთა დირექტორად—ტანი. კომიტეტის წევრს პლევენს დაევალა ერთმანეთს შეუთანხმოს სამოქალაქო საქმეების განმგებელ დაწესებულებათა მუშაობა.

ამერიკის გაზეთები ბულგარეთის მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი" სწერს, რომ ბულგარეთში ძლიერდება ანტიგერმანული განწყობილება. გაზეთი იმოწმებს დიპლომატიურ წყაროებს და აღნიშნავს, რომ ყველა მორის „რუს პარაშუტისტთა" შესახებ გერმანელები ავრცელებენ, რათა სავსებით დაიმორჩილონ ბულგარეთი და დამალონ სიმართლე. ხოლო სიმართლე ის არის, რომ ბულგარეთში ძლიერდება ანტიგერმანული განწყობილება და გერმანიის განზრახვებს მოსახლეობა ანტიგერმანული საბოტაჟის გაძლიერებით უპასუხებს.

ცნობილია, — განაგრძობს გაზეთი, — რომ სოფიაში ცეცხლი წაუკიდეს ყაზარმებს, მთელ რიგ რაიონებში დაიწვა მარცვლეულის მარაგი და სხვ. მთავრობას ისე მკაცრად აკრიტიკებენ, რომ ბულგარეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააფრთხილა ყველა მოსამსახურე და დამუქრა, რომ ასეთი კრიტიკოსები და განსაკუთრებით „ღერძის" სახელმწიფოებთან ბულგარეთის მთავრობის „თანამშრომლობით" უკმაყოფილებისათვის ისინი სასტიკად დაისჯებიან.

სოფიიდან იუწყებიან, რომ რკინიგზის მინისტრმა უკვე განკარგულება დაუგზავნა ყველა დარგს წარმომადგენნ იმ პირთა სიები, რომელნიც დათხოვნილ უნდა იქნან აკრძალულ ორგანიზაციათა წევრობისათვის და „ანტისახელმწიფოებრივ იდეათა პროპაგანდისათვის".

დეზერტირობა გერმანიის სამხედრო ბანაკიდან

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). ოვერსის ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ ორი დღის წინათ ჟენევაში ჩავიდა შტუტგარტის მახლობლად მდებარე სამხედრო ბანაკიდან გამოქცეული 48 გერმანელი. მათი განცხადებით, იტალიელ მესაზღვრე გუშაგებს შაფჰაუზენში, შვეიცარია-გერმანიის საზღვარზე, არ უცდიათ მათი დაკავება. იტალიელებმა შეცვალეს გერმანელთა მესაზღვრე ნაწილები, რომლებიც აღმოსავლეთის ფრონტზე გადაიყვანეს, მიუხედავად მათი მოუმზადებლობისა და საჭურვლის ნაკლებობისა.

ფაშისტური ტერორი ხორვატიაში

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ზაგრებში ოფიციალურად გამოცხადდა იმის შესახებ, რომ სიკვდილით დასაჯეს 50 კაცი, რომელთაც ბრალდებოდათ სატელეფონო სადგურის აფეთქების წაქეზება და მოწყობა.

ამ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ხორვატიაში ჩამოაღრჩეს და საპყრობილეებში ჩაყარეს ხორვატიის მეტად თვალსაჩინო მოღვაწეები. ზაგრებში სიკვდილით დასაჯეს ხორვატიის გლეხთა პარტიის ხელმძღვანელები რუდოლფ ჰერცეგი, დოქტორი სმოლიანი და მიროსლავი. შეერთებულ შტატებში ცნობილი განთქმული მოქანდაკე ივანე მესტროვიჩი და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა თვალსაჩინო სპეციალისტი, დოქტორი სტამპარი საპყრობილეში ჩასვეს. კერსტინეცის რაიონში, ზაგრების მახლობლად, დახვრიტეს 180 ადგილობრივი მოღვაწე გლეხთა პარტიისა და ამ პარტიის 2 ათასამდე წევრი საპყრობილეში ჰყავთ დამწყვდეული.

თავდაცვის სახალხო ფონდი

შეაქვთ თავდაცვის ფონდში

★ საქ. შინსახკომის ჩოხატაურის რაიგანყოფილების თანამშრომლებმა — 1.100 მანეთის ობლიგაციები და ორ-ორი დღის ხელფასი ყოველთვიურად;

★ არტელ „წითელი მკერავის" მუშა-მოსამსახურეებმა და წევრებმა 14.695 მანეთის ობლიგაციები, პირველი კვარტალის მოგება—4.516 მანეთი და ყოველთვიურად ორი დღის ხელფასი;

★ საქ. შინსახკომის გზატკეცილის სამმართველოს სისტემის მუშაკებმა — ერთდროულად 3.500 მანეთი, 614 მანეთის ძვირფასი ნივთები, 60.000 მანეთის ობლიგაციები და ყოველთვიურად 1-2 დღის ხელფასი (16.000 მანეთი);

★ საქ. ზრეშუმტრესტის მუშა-მოსამსახურეებმა—ერთდროულად 500 მანეთის ობლიგაციები და ყოველთვიურად ორი დღის ხელფასი;

★ თბილისის ხორცკომბინატის კოლექტივი ყოველთვიურად რიცხავს თითო დღის ხელფასს—4.765 მან. 96 კაპ. და ამას გარდა ერთდროულად შეიტანეს 22.050 მანეთის ობლიგაციები და სხვა ფასეულობანი;

★ ორსანტიის (ზუგდიდის რაიონი) გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ყოველთვიურად შეაქვთ სამი და მეტი შრომადღის ღირებულება, რაც 10.000 მანეთს აღემატება, აგრეთვე შეიტანეს 42.000 მანეთის ობლიგაციები, 3 ვერცხლის საათი, ვერცხლის კოვზი და ვერცხლის ათმაჟრიანები, 3.000 კილოგრამი ხორცი, 10 ტონა თხილი, 200 კილოგრამი დაფნის ფოთოლი და სხვ.;

★ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბთან არსებულმა სტუდენტთა თვითმოქმედმა ქართულმა თეატრმა—1.060 მანეთი — სპექტაკლიდან — „გმირის დედა"—მიღებული შემოსავალი.

„პროფესორი მამლოკი"

გრიბოედოვის სახელობის თეატრში

ფრიდრიხ ვოლფის „პროფესორ მამლოკს" ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს. უკვე რამდენიმე წელია „პროფესორ მამლოკს" დიდი წარმატებით უჩვენებენ საბჭოთა ეკრანზე. რასაკვირველია, ეს ანტიფაშისტური ნაწარმოები ეკრანზე გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე სცენაზე. მიუხედავად ამისა, გრიბოედოვის თეატრმა მაინც საინტერესო სპექტაკლი შექმნა. მაყურებლის წინაშე იშლება ერთი ეპიზოდი ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების პერიოდისა. ბერლინის ერთი კლინიკის, ერთი ებრაელი მეცნიერის ტრაგედიაა გადმოცემული ამ პიესაში, მაგრამ მასში ნათლად მოსჩანს მთელი გერმანიის ტრაგედია. ელენ მამლოკი მართალია, როცა ფაშისტების გამარჯვების მეორე დღესვე იცხადებს: „გერმანია დაიღუპა".

მიხაკისფერი მხეცი მოექცა სათავეში სახელმწიფოს. პროფესორები, მეცნიერები, ნამდვილი შემოქმედნი გარეკეს და უნიჭოებმა, ბანდიტებმა, სადისტებმა ჩაუგდეს ხალხს სათავეში. კულტურული გერმანია ბარბაროსების სათარეშოდ გადაიქცა. დამაჯერებლად არის პიესაში ნაჩვენები ეს პროცესი. მაყურებლის თვალის წინ იშლება ძველი საზოგადოება. მუშები, პროგრესიული ელემენტები ბრძოლას აჩაღებენ, წვრილი ბურჟუაზია, მოხელეები, ე. წ. საშუალო ფენები კი საკონცენტრაციო ბანაკების შიშით ქედს იხრიან და უკმაყოფილებას გულში იმარხავენ.

პიესა დადგა რეჟისორმა ა. რუბინმა, მხატვრულად გააფორმა ი. შტენბერგმა. მთავარ როლებს ასრულებენ: ა. ზაგორსკი (პროფესორი მამლოკი), პ. დონეცკი (კარლსენი), კ. მიუფკე (გირში), ფ. ზალაბანი (ცელპახი), ლ. ვრუბლევსკაია (ინგე), ე. დუბენსკი (ზეიდელი), ე. სატინა (ელენ მამლოკი), დ. ივანოვი (როლფი), ნ. სპერანსკაია (რუტ) და სხვ.

ა. ზაგორსკი მამლოკს გვისახავს, როგორც უდრეკ, პრინციპულ ადამიანს. იგი თავს „წმინდა" მეცნიერად, ე. ი. პოლიტიკის გარეშე მდგომად სთვლის, მაგრამ ცხოვრება თვით აბამს პროფესორს პოლიტიკაში, ბრძოლაში და ამ ბრძოლის დროს იგი უაღრესად პრინციპულია. ბურჟუაზიული დემოკრატიის პრინციპებზე აღზრდილი პროფესორი ვერ უძლებს ამ დაძაბულ ბრძოლას და თავს იკლავს. ზაგორსკიმ სწორად გაიგო და განასახიერა მამლოკი. ასევე ითქმის დანარჩენ შემსრულებლებზე. სახეები სწორად არის გახსნილი. მხოლოდ ადგილ-ადგილ მიუღებელ და სპერანსკაია მიმართავენ მაღალ ტონს, რასაც დისონანსი შეაქვს ანსამბლში. დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ლ. ვრუბლევსკაიამ, დ. ივანოვმა, ე. სატინამ, ე. დუბენსკიმ და სხვ.

პრემიერა წარმატებით ჩატარდა. მორიგ პრემიერად თეატრი ამზადებს კ. სიმონოვის პიესას „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან". ჩვენი აზრით, თეატრმა ახლო ხანში უნდა გვიჩვენოს სპექტაკლები თვით სამამულო ომის თემაზე, მით უმეტეს, რომ ასეთი პიესები უკვე დასწერეს საბჭოთა დრამატურგებმა. ასეთებია, მაგალითად, ვ. სოლოვიოვის „ფრონტი", ა. აფინოგენოვის „წინა დღეს", ბ. ვოიტეხოვის „სალამი იარალს", ა. პერვენცევის „ფრთოსანთა ჯიში", ა. დავურინის და ა. სიველიევის „მშობლიური ნაპირები", ფიბისისა და კუპრიანოვის „ფინეთის ყინულებში", შ. დადიანისა და რ. ქორქიას „სისხლი სისხლისათვის", გ. მდივნის „ბატალიონი დასავლეთისაკენ მიდის" და სხვ. საბჭოთა მაყურებელს სურს სცენაზე ნახოს ჩვენი გმირული წითელი არმიის ბრძოლა გამხეცებულ ფაშიზმთან. ეს სურვილი თეატრმა უნდა დააკმაყოფილოს.

გრ. ნუცუბიძე

სასამართლო

შუქშენიღბვის წესის დამრღვევი

8 სექტემბერს ღამით მოქ. ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ანდრეევსკი (მცხ. თბილისში, პაპანინის ქ. № 20) ამხანაგებთან ერთად ქეიფობდა თავის ბინაში. ქეიფის დროს ანდრეევსკიმ რამდენჯერმე დაარღვია შუქშენიღბვის წესი, რის გამო გაფრთხილებულ იქნა მორიგის მიერ. მიუხედავად ამისა, მთვრალმა ანდრეევსკიმ ამხანაგების წასვლისას კვლავ აანთო სინათლე შუშაბანდში, ხოლო მორიგეს მოქ. იუხანკუროვს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

შუქშენიღბვის წესის დარღვევისა და ხულიგნობისათვის მოქ. ანდრეევსკი პასუხისგებაში იქნა მიცემული. 24 სექტემბერს ნ. ანდრეევსკის საქმე გაარჩია თბილისის ბერიას რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ (თავმჯდომარე—მ. ბუხრაშვილი; სახალხო მსაჯულები—შ. თომაშვილი და ა. რუხაძე; პროკურორი გ. კუტალაძე). შუქშენიღბვის წესის უხეშად დარღვევისა და ხულიგნობისათვის ნ. კ. ანდრეევსკის მიესაჯა ოთხი წლით პატიმრობა და ორი წლით საარჩევნო უფლების ჩამორთმევა.

ფეხბურთი

დღეს, 28 სექტემბერს, თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შესდგება თბილისის „დინამოს" (სანაკრებო გუნდი) და ბათუმის „დინამოს" გუნდების ამხანაგური მატჩი.

ტაიმებს შორის ჩატარდება საქართველოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა (ჯორჯაძე, რცხილაძე, ახვლედიანი, ზაალიშვილი და სხვ.) საჩვენებელი გამოსვლა, გასამხედროებული და სახანძრო ამანათრბენა.

თბილისისა და ბათუმის ფეხბურთელთა მატჩი დაიწყება 5 საათზე, ხოლო 3½ საათზე მოეწყობა საქ. სსრ განსახკომის ცენტრალური სპორტსკოლის ფეხბურთელთა გუნდების („იმედი" და „აისი") ამხანაგური მატჩი.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი სთხოვს ვართან იოსების-ძე **ვართანოვს,** თამარ ტრიფონის-ასულ **ჯიბლაძეს,** აბრამ ბორისის-ძე **ნოგრებეცკის,** ნიკოლოზ პავლეს-ძე **ინაშვილს,** გრიგოლ ალექსის-ძე **ლონგურაშვილს** და არტემ ზაქარიას-ძე **გოიაევს** გამოცხადდნენ კიროვის რაიკომის ერთიანი პარტბილეთისა და პარტსტატისტიკის სექტორში.

ა. ყაზბეგის ბიოგრაფიული ნარკვევი

გამოვიდა და იყიდება აკ. მახარაძის მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ნარკვევი „ალექსანდრე ყაზბეგი". წიგნი, რომელიც გამოსცა საბლიტგამმა, შეიცავს 142 გვერდს, დართული აქვს ა. ყაზბეგის სურათი და ყდით ღირს 6 მანეთი და 50 კაპ.

„გამარჯვების სიმღერები"

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლექსების ორი კრებული აფხაზურ და ქართულ ენებზე შემდეგი სახელწოდებით: „გამარჯვების სიმღერები" და „სამშობლოსათვის".

აფხაზურ კრებულში მონაწილეობენ პოეტები: დ. გულია, მ. ხაშბა, ხ. ბგაჟბა, ი. ტარბა, ს. სანგულია, ა. მექვაბია და ჯ. ჯოპუა.

ქართულ კრებულში მონაწილეობენ: დ. გულია, გ. გაბუნია, ე. უბილავა, ი. ტარბა, შ. ტაპიძე, ხ. ბერულავა, ი. ქორთუა, გ. საჯაია და სხვ.

ორივე კრებულის გარეკანი მხატვრულად გაფორმებულია გ. გულიას მიერ. წიგნები დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე. აფხაზურ კრებულს რედაქტორობს ამხ. მ. დელბა, ქართულ კრებულს — ამხ. გ. მერკვილაძე.

თეატრებში

საოპერო — 28 სექტემბერს — „აბესალომ და ეთერი", 30 სექტემბერს — „ხევისბერი გოჩა"(?) ; **რუსთაველის სახელობის**—28 სექტემბერს—„რღვევა", 29 სექტემბერს—„კიკვიძე" (მთელი შემოსავალი თავდაცვის ფონდისათვის), **მარჯანიშვილის სახელობის** — 28 სექტემბერს — „ბერლინის გახადები", 30 სექტემბერს — „ცხვის წყარო", 1 ოქტომბერს — „მკაცრი ქალიშვილები", **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**— 30 სექტემბერს — „პატარა კახი" (მე-29 აბ.), 1 ოქტომბერს — „თოვლის დედოფალი" (მე-38 აბ.), 2 ოქტომბერს— „თოვლის დედოფალი" (მე-3 აბ.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და **დამკვრელი** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „გადასასვლელი", **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „ხვალ თუ ომი იქნება", **სპარტაკი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **ლუქსემბურგის სახ.** — „კოლეჟსკი რეგისტრატორი", **კომინტერნი** — „მტრის ზურგში", **განთიადი** — „პატიმარნი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამედიცინო დების № 1 სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას ა. წ. 1 ოქტომბრამდე. სკოლა ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სამედიცინო დებს. სწავლის ხანგრძლივობა 1 წელიწადია.

სკოლაში უგამოცდოდ მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის 7 კლასდამთავრებულნი.

სკოლაში ჩარიცხულ 7 კლასდამთავრებულ ფრიადოსნებს ენიშნებათ სტიპენდია.

სკოლაში შემსვლელს სკოლის დირექტორის სახელზე შემოაქვს განცხადება შემდეგი საბუთების თანადართვით:

1. 7 კლასის დამთავრების მოწმობა (აუცილებლად დედანი), 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 4. 2 ფოტოსურათი.

განცხადებები მიიღება საღამოს 6 საათიდან, ფიოლეტოვის ქ. № 16 (26 კომ. სახელობის რაიონი), მე-4 საშუალო სკოლის შენობა, სამედიცინო დების № 1 სკოლის კანცელარიაში.

381

სკოლის დირექცია.

საქ. სახელმწიფო ფილარმონია

ყოფილი საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი, პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-55-24, 3-18-50.

29 სექტემბერს საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭო აწყობს

ლექცია-კონცერტს

1 განყოფილება—ლექცია: **ფაშიზმის რასული „თეორია"**
მომხსენებელი: აკადემიკოსი დ. უზნაძე.

2 განყოფილება—**დიდი საღამო-კონცერტი**

მონაწილეობენ:

საოპერის მსახიობები: მ. მჭედლიძე, დ. ბადრიძე, ნ. ხარაძე (დამსახ. არტ. ორდენოსანი), ე. ხოხაძე (სახ. არტ. ორდენოსანი), დ. ანდღულაძე (სახ. არტ. ორდენოსანი), დ. გამრეკელი (დამსახ. არტ. ორდენოსანი), შ. ხანაძე, ბალეტი ბაუერ-გოროშკო, ბოშური რომანსებისა და საბანაკო სიმღერების შემსრულებელი თამარ წერეთელი.

რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი ო. დოლიძე (ესტრადის მსახ. საკავშირო კონკურსის ლაურეატი).

მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი პიერ კობახიძე (დამსახ. არტ. ორდენოსანი).

გრიბოედოვის სახ. თეატრის მსახიობები: ვრუბლევსკაია (დამსახ. არტ. ორდენოსანი), ბრაგინი (დამსახ. არტ.).

როიალის პარტიას შეასრულებს ტ. დუნენკო.

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.
თეატრი მოწყობილია შუქშენიღბვისათვის.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო, — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების — 3—73—24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების — 3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41108